პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი 1935 წ. № 235 (4391)

დღეს ნომერში

— პირველი გამარჯვება (მოწინ.).
— ფერო-გიგანტი იმუშავებს უდოტაციოდ.
— ნ. ჟინჟარაძე—იმპერიალისტური წინააღმდეგობანი აბისინიის გარშემო.
— დ. კარბელაშვილი —სალიტერატურო ქართულისათვის.
— პრესის მიმოხილვა—პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ.
— საბჭოთა მწერლები პრაღაში.
— პარტიული მეურნეობა—შემოწმების შედეგები ტყიბულის რაიონში.
— აბისინიის არმიის ნაწილებმა გაარღვიეს იტალიის ფრონტი.
— ერთა ლიგის საბჭოს სხდომა.
— იტალიის ჯარისკაცებს არ უნდათ აბისინელებთან ომი.
— აბისინიის იმპერატორის ბრძანება.
— ადუის აღების გამო.

პირველი გამარჯვება

ფერო - მარგანეცის ქარხანა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის სიამაყეა, სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო. ფერო—ბოლშევიკური საქმიანობის განსახიერებაა, მეტალურგების სამჭედლო, სოციალისტური ტექნიკის ათვისების ლაბორატორია.

ფერო დღითი-დღე იზრდება, ვაჟკაცდება, მხარბეჭს იმშვენებს და სხვასაც ამშვენებს!

რამდენი ბრძოლა გადაუტანია ფერო-მარგანეცის ქარხნისა და მის კოლექტივს, რამდენი აზრი გაუქარწყლებია მას გერმანელი „სპეციალისტების"—ფოგელის, ნეიმანის და შერნიცისა ღუმელების ფსკერის ორგანიზაციის საქმეში, კაზმის შერჩევაში, ავარიების მოსპობაში! ამ ბრძოლაში იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ფერო-გიგანტი. ყოველ ახალ წინააღმდეგობას ახალ სიძლიერემდე და გამარჯვებამდე მიჰყავდა ფერო. რამდენი ღამე თეთრად გაუთენებიათ საბჭოთა ტექნიკურ ძალებს, რომ დაემტკიცებინათ გერმანული ფირმის წარმომადგენლებისათვის მათი პროექტის უვარგისობა.

ფეროს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ვაჟკაცური შეუპოვრობით, ბოლშევიკური ორგანიზებულობით გადალახეს ყველა დაბრკოლება და წარმატებით აითვისეს ურთულესი დანადგარები. მათ სამ კვარტალში სახელმწიფოს მისცეს 19703 ტონა ფეროშენადნობი. ამით 9 თვის გეგმა შეასრულეს 99 პროც. გააუმჯობესეს კაზმის შემადგენლობა, საწვავ მასალად ტყიბულის ქვანახშირის ნაცვლად იხმარეს კოქსი, საგრძნობლად შემცირდა ავარიები. შემცირდა ნედლეულის ხარჯვა. ახლა მარგანეცის მადანი ნაკლებად იკარგება ჰაერში, შემცირდა გაცდენები. შრომის სწორი სოციალისტური ორგანიზაციით და ხელფასის სისტემის გარდაქმნით ტონა ფეროშენადნობის თვითღირებულება 1934 წლის პირველი კვარტალის 500 მანეთიდან დაყვანილ იქნა 300 მანეთამდე 1935 წლის სექტემბერში.

თუ მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში წიდა შეიცავს 18 პროცენტ რკინას და მის დამუშავება-გამოყენებას აწარმოებენ, ფეროს წიდა გვაძლევს ბამბას, ცემენტს, ფორებიან პემზას, ფილებს, გრანულირებულ სილას. ყველაფერი ეს ქარხანაში უკვე მიიღეს! 1 ტონა წიდა იძლევა 1 ტონა ბამბას.

ლითონიდან—ბამბა, ცემენტი! რა საკვირველი ამბავია, მაგრამ ფაქტია. საბჭოთა ტექნიკური მეცნიერება აღწევს ნამდვილ სასწაულებს. დიდი ეპოქის გმირი ადამიანები ქმნიან ახალ ცხოვრებას, ახალ ერას, კაცობრიობის ნამდვილ ისტორიას.

აქ, ამ ქარხანაში, იზრდებოდნენ მეტალის ოსტატები, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილები—ვალოდია ხალაძე, რომან მამალაძე, შალვა ლორია, აკაკი ნებიერიძე, ახლა ათასობით ტონა ლითონს რომ ადნობენ თვეში, ელექტროღუმელებს საუკეთესოდ რომ უვლიან. აქ იზრდებოდნენ მარია პისკოხა და სერგეი ფედერენკო, სამი კაცის ნორმა ლითონს რომ ალაგებენ ცვლაში. ამ ქარხანამ აღზარდა ისეთი ჩამყრელები, როგორიც არიან ბენია გამეზარდაშვილი, ვლადიმერ მიშჩენკო, ანდრო მოდებაძე, რომლებიც კაზმით თავის დროზე და შეუფერხებლად კვებავენ ღუმელებს. აქ აღიზარდა ისეთი მექურე, როგორიცაა პავლე ტატულაშვილი, ისეთი ინჟინრები, როგორიც არიან ჩიტაძე დობროლოჟინი, მელაძე, ჯავახაძე.

მხოლოდ ამ ადამიანების ქვეყანაში შეიქმნა პირობები ნამდვილი მეცნიერული აზრის განსახორციელებლად. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენი სოციალისტური ქარხნები და ფაბრიკები უარს ამბობენ დოტაციაზე და იძლევიან მილიარდობით დაგროვებას. ფერომარგანეცის ქარხანა მე-4 კვარტალში 200.000 მანეთის ეკონომიას მოგვცემს, 1 ტონა ფეროშენადნობს 300 მანეთად მისცემს სახელმწიფოს, შექმნის ახალ სტიმულს ნაყოფიერი მუშაობისათვის. 1936 წლიდან კი ფერო-გიგანტი გადავა სრულ რენტაბელობაზე.

მიღწევები უდავოა, მაგრამ ეს არ კმარა. საქმის კარგად დაწყებას უნდა მოჰყვეს საქმის ასევე კარგად ბოლომდე მიყვანა. ფეროს გმირული კოლექტივის ამოცანაა სამეურნეო ანგარიშის პრინციპის უფრო მეტად განმტკიცება, ნამდვილი სამეურნეო გეგმიანობის დამყარება და ფეროს მომგებიან საწარმოდ გადაქცევა. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, მოვაწყობთ ელექტროღუმელების შეუფერხებელ და უავარიო მუშაობას, მოვსპობთ არაკონდიციური ლითონის გამოშვებას და მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, რომ არც ერთი ფეროშენადნობი არ გვეკარგებოდეს წიდაში.

ქარხანამ მე-4 კვარტალში უნდა მოგვცეს 5600 ტონა ფეროშენადნობი, 7000 ტონა 75 პროცენტიანი ფეროსილიციუმი. უნდა მივიღოთ ყველა ზომა ნარჩენების მასობრივად დამუშავებისათვის, ახლო ხანში უნდა გადავიდეთ ბამბის, ცემენტის და გრანულირებული სილის დამზადებაზე. უნდა დავაჩქაროთ მათი თვისებების შესწავლა და შეკვეთების მიღება. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი წიდა! ქარხანამ მექანიკურ და სარემონტო - სამშენებლო საამქროში უნდა შემოიღოს მინიინსკილების გამოცდილება. ეს გაზრდის წარჩინებულ ადამიანებს და მოგვცემს დიდ დაგროვებას.

ქარხნის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს არა ნაკლები ამოცანა ეკისრებათ ფერო-მოლიბდენის, ელექტროდების, სააგლომერაციო ქარხნების მშენებლობის თავის დროზე დამთავრებისა, 3 ახალი ელექტროღუმელის დამონტაჟებისა და ექსპლოატაციაში გაშვების საქმეში. უნდა მივაღწიოთ აგრეთვე იმას, რომ ცეცხლის კვამლიც ჰაერში არ გვეკარგებოდეს. იგი საწვავ მასალას შეიცავს, ამიტომ უნდა დავაჩქაროთ მისი დაპროექტება და ახლო მომავალში პრაქტიკულად გადაიჭრათ ეს საკითხი.

უაღრესად დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ საბინაო მშენებლობის ტემპების გადაჭრით გაძლიერებისათვის, ნამდვილი კულტურული ცხოვრების მოწყობისათვის ბრძოლაში. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ზრუნვა ცოცხალ ადამიანებზე, კადრების აღზრდაზე.

დიდია ამოცანა, დიდია პასუხისმგებლობა. გაბედულად უნდა დავეუფლოთ მწყობრი სამეურნეო მუშაობის რთულ ხელოვნებას, დავნერგოთ წესრიგი და ორგანიზებულობა, ბოლშევიკურად დავძლიოთ ყველა სიძნელე, რომელიც კი შეგვხვდება ამ უაღრესად რთული ამოცანების გადაჭრის გზაზე. უნდა გვახსოვდეს მტკიცედ: არ არის ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ!

ფერო უნდა გახდეს და კიდევაც გახდება სავსებით რენტაბელური. ფეროს მაგალითზე უნდა ისწავლონ ჩვენმა წარმოებებმა, მათმა ხელმძღვანელებმა. ფერო-მარგანეცის ქარხნის მუშაობის მაგალითი უნდა გახდეს გაკვეთილად მთელი სოციალისტური მრეწველობისათვის.

კაჟი ფერომარგანეცის ქარხნისათვის

ქუთაისი, 3 ოქტომბერი. ამასწინათ ფერომარგანეცის ქარხნის გეოლოგიურმა პარტიამ ქუთაისის რაიონის სოფელ ნახშირღელეში აღმოაჩინა მაღალხარისხოვანი კაჟის დიდი საბადოები. ეს კაჟი წარმატებით იხმარება ფეროშენადნობთა მასალებად.

სპეციალისტების აზრით, ნახშირღელის კაჟის მარაგი ჯეროვნად ფერომარგანეცის ქარხანას რამდენიმე ათეული წლით უზრუნველჰყოფს.

კაჟის ამოღებას უკვე შეუდგნენ. საბადოებიდან სადგურ აჯამეთამდე კაჟი ურმებით გადმოაქვთ. უკვე ამოიღეს და ფეროქარხანას გადმოუგზავნეს პირველი 100 ტონა კაჟი (აჟს).

ფერო-გიგანტი იმუშავებს უდოტაციოდ!

ფეროს რჩეული ადამიანები. (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. პისკოხა მარია (ლითონის ამლაგებელი, ცვლაში ასრულებს 3 ნორმას). 2. ლორია შალვა (უფროსი მდნობელი), 3. ბერნაცკი ... (უფრ. მდნობელი), 4. ტატულაშვილი პავლე (მექურე), 5. გამეზარდაშვილი ბენია (კაზმის ჩამყრელი), 6. ფედერენკო სერგო (ლითონის ამლაგებელი), 7. მოდებაძე აკაკი (ჩამყრელი), 8. ნებიერიძე აკაკი (უფროსი მდნობელი), 9. დოროხოვი გაბრიელ (ჩამყრელი), 10. მიშჩენკო ვლადიმერ (ჩამყრელი).

რენტაბელობის გზით

საუბარი ფერომარგანეცის ქარხნის დირექტორ ამხ. ვასო მჟარეულაშვილთან

„კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ვ. მჟარეულაშვილმა განაცხადა შემდეგი:

— შარშან ჩვენი მუშაობა აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო. ფერომარგანეცის გამოდნობის წლიური გეგმა შესრულდა 60,6 პროცენტით. ამის მიზეზის საძებრად შორს ნუ წავალთ. ამის მიზეზი იყო უაღრესად რთული აგრეგატების აუთვისებლობა, ხშირი ავარიები. ღუმელის ფსკერის შეურჩევლობა. ქარხანას ორგანიზაციული წყობა არ ეტყობოდა, მუშათა ხშირი დენადობა იყო, ძალები არ ყოფილა შერჩეული და განაწილებული საჭიროების მიხედვით.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ ჩვენმა საკუთარმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ შესძლო ქარხანა ჩაეყენებინა ნორმალურ კალაპოტში, აეთვისებინა და დიდი ცვლილებები შეეტანა ელექტროღუმელების ტექნოლოგიურ პროცესში. რად ღირს თუ გინდ ახალგაზრდა ხელოსნის ამხ. სიკაკის წინადადება, რომელმაც მოსპო ზეთის დაკონსება მილებში. გაადვილა მუშაობა და მოგვცა 100.000 მანეთზე მეტი წლიური ეკონომია.

წელს ჩვენი პროგრამაა 25.212 ტონა ფეროშენადნობის და IV კვარტალში 75 პროცენტიანი ფეროსილიციუმის გამოდნობა 7.000 ტონის რაოდენობით. შეიძლება ითქვას, რომ პირველ სამ კვარტალში ფერომარგანეცის გამოდნობას თავი გავართვით. 9 თვეში გამოვადნეთ 19.703 ტონა, ანუ დავალების 99 პროცენტი. ჩვენი შესაძლებლობა საგეგმო დავალებას აღემატებოდა და ახლაც აღემატება, მაგრამ ხელი შეგვიშალა ერთი მხრით ღუმელიდან იმ მცირე ამოხეთქებმა, რომელთა მიზეზი იყო მარგანეცის მადნის გაუშრობლად ღუმელში ჩაშვება და ტყიბულის ქვანახშირის დამატება, რაც ძალზე დიდ ტემპერატურას ჰქმნიდა მუშაობის პროცესში, მეორე მხრივ კი ელექტროენერგიის ნაკლებობა. მარტო იანვარში ელექტროენერგიის უქონლობის გამო გაცდენამ მიაღწია 333 საათს, რაც საერთო გაცდენის 70 პროცენტს აჭარბებს. გაცდენები, ამავე მიზეზით დღესაც გრძელდება, მაგრამ იგი ძალიან შემცირებულია. პირველ კვარტალში გაცდენა უდრიდა 22 პროც.-ს, მესამე კვარტალში კი 17 პროცენტამდე დავიყვანეთ. ხოლო ჩვენის მიზეზით გაცდენა თითქმის მოვსპეთ და ერთიორად გავზარდეთ ღუმელების წარმადობა. თუ შარშან დღიური გამოდნობა 1 ღუმელზე უდრიდა პირველ კვარტალში 15 ტონას, მიმდინარე წლის 1 კვარტალში უდრის 27,7 ტონას, ხოლო მესამე კვარტალში—29,7 ტონას, ნაცვლად 18 ტონისა 1934 წლის მესამე კვარტალში.

გაცდენის შემცირება, წარმადობის გადიდება და შინასაქარხნო მუშაობის გაუმჯობესება გამოიწვია იმ ღონისძიებამ, რომელსაც ჩვენ მივმართეთ. დავაწესეთ პრემია ნაკლებ გაცდენაზე. გაცდენის ყოველ 1 პროცენტით შემცირებაზე ბრიგადა (რომელშიაც მუშაობს 6 კაცი) ღებულობს პრემიას 300 მანეთს, 2 პროც.-ზე—500 მან., 3 პროც.-ზე—1000 მან., 4 პროც.-ზე—2550 მან., ხოლო ინჟ. - ტექნიკური პერსონალი — 1 პროც.-ზე—500 მან., 6 პროც.-ზე 3000 მან. ცვლის ინჟინრები აღნიშნულ პრემიას ღებულობენ სამ ღუმელზე მომსახურეობის დროს.

— ჩვენი კოლექტივი ხანგრძლივად მუშაობდა კაზმის შემადგენლობაზე. და ეს საქმეც მოვაგვარეთ, რაც ჩვენი ქარხნის დიდ მიღწევად მიმაჩნია.

შარშან პირველ კვარტალში 1 ტონა ფერომარგანეცი დაგვიჯდა 500 მანეთად, 1935 წლის I კვარტალში—414 მან., II კვარტალში—327 მან. აგვისტოში—326 მან., სექტემბერში კი 300 მანეთი. ჩამოთვლილ ციფრებს განმარტება არ ესაჭიროება. ისინი აშკარად მოწმობენ დიდ წარმატებებს.

ჩვენ მტკიცედ გადავედით სამეურნეო ანგარიშზე, ინჟინერ - ტექნიკური პერსონალი გადავიყვანეთ ხელფასის პირდაპირ პრემიალურ სისტემაზე, მოვაგვარეთ და მოვაწესრიგეთ ჩვენი ქარხნის ერთი დიდი ძარღვის — რკინიგზის ტრანსპორტის საამქროს მუშაობა.

ყველა საამქროს მიცემული აქვს მტკიცე სამეურნეო ანგარიშის გეგმა, გაანგარიშებები, ნორმები, რომლებშიც ისინი უნდა ჩაეტიონ. საამქროებმა გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უნდა მოგვცენ კარგი ხარისხის პროდუქცია. უნდა შეამცირონ გაცდენა და პროდუქციის თვითღირებულება. ინჟ. - ტექნიკოსებისათვის დავაწესეთ პროგრესიული ხელფასის შკალა. მაგალითად, თუ 1 დღის განმავლობაში სამივე ღუმელზე გამოდნობილ იქნა 61,2 ტონა ლითონი, მაშინ ინჟ. - ტექნიკური პერსონალი მიიღებს ხელფასის 75 პროც.-ს. თუ მოგვცემენ დღეღამეში 78 ტონას, მაშინ მიიღებენ მთელ ხელფასს და კიდევ თავისი ხელფასის 42 პროც.-ს. 84 ტონის გამოდნობის დროს — 1,55 პროც.-ს, ხოლო 120 ტონის გამოდნობის დროს ისინი მიიღებენ სამმაგ ხელფასს. თვითღირებულების ყოველი 1 პროცენტით გადიდების დროს უმცირდებათ ხელფასი 10 პროცენტამდე, ხოლო შემცირებისას უდიდდებათ ხელფასი 10 პროცენტამდე. ყოველ თვე პრემიის 80 პროც.-ს ვაძლევთ ხელზე და 20 პროც.-ს ვიტოვებთ კვარტალის დამლევისთვის. ვინიცობაა რომელიმე თვეში არასწორი ანგარიში იქნა წარმოდგენილი, მაშინ ყველაფერი ეს გამოირკვევა კვარტალის ბოლოს, და პრემიას დავუკავებთ, თუ არა და ვანაღდებთ პრემიის დარჩენილ პროცენტს.

პრემიას უეჭველად წინ უნდა უძღოდეს ხარისხი.

როცა გამოდნობის ნორმა არ იყო დაწესებული, მუშები ხელფასის დროული სისტემით მუშაობდნენ. მაშინ უფროსი მდნობელი ხელფასს იღებდა 435 მანეთს და 80 კაპ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დღიური ნორმა 1 ღუმელზე დავაწესეთ 26 ტონა, მაშინ უფრ. მდნობელმა გამოიმუშავა 511 მანეთი, ერთი სიტყვით, ყველა პროფესიის მუშათა ხელფასმა საგრძნობლად იმატა, ხოლო როცა ნორმა გადავსინჯეთ და 26 ტონის ნაცვლად 28 ტონა დავაწესეთ, უფრ. მდნობელმა მიიღო — 581 მან., მექურემ 464 მან. (მექურე 26 ტონა ნორმის დროს ღებულობდა 341 მანეთს, როგორც ვხედავთ, ხელფასის მატება დიდია). მაგრამ ახლა, როცა ღუმელები წესრიგში მოვიყვანეთ და კოქსის ხმარებამ მუშაობა გაგვიადვილა, პირველ ოქტომბრიდან დავაწესეთ 32 ტონის გამოდნობა 1 ღუმელზე დღეში. ჩვენ საშუალება გვეძლევა ამ გაადვილებულ პირობებში მუშახელი შევამციროთ კიდეც ზოგიერთ სამუშაოზე.

ამგვარად, ხელფასის სწორმა ორგანიზაციამ კარგი შედეგები მოგვცა. 1935 წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერებამ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, იმატა 65 პროცენტით, II კვარტალში — 60,6 პროცენტით, ივლისში 69 პროც.-ით აგვისტოში — 76.2 პროც.-ით; ხელფასმა 1935 წლ. I კვარტალში 1934 წლ. I კვარტალთან შედარებით იმატა — 26,3 პროც.-ით. II კვარტალში — 33,7 პროც.-ით, ივლისში — 26.8 პროცენტით, აგვისტოში—25,3 პროცენტით.

ჩვენ IV კვარტალში უარი ვთქვით 200.000 მანეთის დოტაციაზე. ამ ეკონომიის მისაღებად საჭიროა პროდუქციის თვითღირებულება დავიყვანოთ 304,50 კაპ. სექტემბერმა ტონა ლითონი 300 მანეთად მოგვცა, ასე რომ მეტი ეკონომიის შესაძლებლობა გვაქვს.

ხშირი იყო, რომ თვეში 3—4 ათასი მანეთ ჯარიმას ვიხდიდით რკინიგზის ვაგონების გაცდენისათვის, ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის საამქროს უხეირო მუშაობის გამო, მაგრამ ახლა ეს მოვსპეთ და აი როგორ: რკინიგზის ადმინისტრაცია ვაგონებს ერთბაშად მოაყრიდა ხოლმე და მათ დატვირთვას ვერ ვასწრებდით. შევუთანხმდით რკინიგზას ვაგონების პერიოდულად მოწოდებაზე, შემოვიღეთ აქტები ვაგონების დატვირთვაზე, შევიძინეთ საკუთარი ორთქლმავალი, მოვაწყეთ შინასაქარხნო გზები ერთი სიტყვით მუშაობის ნორმალური პირობები დავამკვიდრეთ ჩვენი ტრანსპორტისათვის... და ამის შემდეგ, თუ ტრანსპორტის საამქრომ დროზე ვერ დაცალა ვაგონი, მაშინ რკინიგზის ჯარიმას მთლიანად ვაკისრებთ საამქროს უფროსს მის თანაშემწეს და პასუხისმგებელ მორიგეს, დაცლისთანავე ვაგონი გასუფთავებული უნდა დაუბრუნდეს რკინიგზას. თუ ვაგონი დროზე იქნა დაცლილი, დატვირთული და გასუფთავებული, მტვირთავ ბრიგადას პრემიის სახით ვაძლევთ თითო ვაგონზე 50 კაპიკს ან 1500 ვაგონზე (რაც თვიური ტვირთბრუნვის გეგმაა) 750 მანეთს. თუ ვაგონები რკინიგზას ადრე გადაეცა და რკინიგზამ პრემია მოგვცა, ამ პრემიას ვანაწილებთ მხოლოდ რკინიგზის მუშაკებს შორის.

კადრები ოქროს ფონდია, ახლა ისინი ყველაფერს სწყვეტენ. შრომის მართებულმა ორგანიზაციამ, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ, ყოველი მუშის მიმართ დახმარებამ და სწავლებამ შექმნა ფეროს მაგარი, ერთსულოვანი კოლექტივი. დღითიდღე იზრდება ჩვენი კადრების კვალიფიკაცია, მუშებს ყველა პირობა შევუქმენით სწავლის და წინსწავლისათვის. ამ ბოლო ხანში მოვამზადეთ წამყვანი პროფესიის, სულ—კობა 217 მუშა. მათგან 30 პროცენტმა სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა ფრიადზე ჩააბარა, ხოლო 49 პროცენტმა კარგზე. ინჟინრებს ხშირად ვგზავნით კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა მოწინავე ქარხნებში, როგორიცაა „მაკეევკა", „ზაპოროჟიე". „ელექტროსტალი" და სხვ. წელს ასეთ მოწინავე ქარხნებში 20-მდე ინჟინერი და 15-მდე მუშა გვყავდა გაგზავნილი. მომავალში კი ვფიქრობთ მათ საზღვარგარეთ გაგზავნას. ქარხანაში ჩამოყალიბებულია რუსული ენის კურსები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ჩვენმა ინჟინერმა თავისუფლად და გულმოდგინედ გაარჩიოს და შეისწავლოს რუსული ტექნიკური ლიტერატურა, ვაყალიბებთ გერმანული ენის შემსწავლელ წრესაც.

დიდი წარმატება გვაქვს ნარჩენების გამოყენების საქმეში. ლითონის წიდისგან მივიღეთ ბამბა, რომელიც ფერომარგანეცზე უფრო ძვირად ფასობს, მივიღეთ მაღალხარისხოვანი ცემენტი, გრანულირებული სილა, ფორებიანი მინქაფა (პემზა), რომელიც იხმარება აღმშენებლობაში. ყველაფერი ეს დიდი რეზერვია და ახლო მომავალში გადავალთ მის მასობრივ დამუშავებაზე.

ტაცია მოგვცეს 2.700 ათასი მანეთი, მომავალი წლისათვის საქმეს ისე დავაყენებთ, რომ დოტაცია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი არ დაგვჭირდეს. რაც შეეხება წლევანდელ IV კვარტალში 200 ათასი მანეთის ეკონომიის მიღებას, ამას უეჭველად მივაღწევთ და ახლო ხანში ფეროს რენტაბელურს გავხდით.

— ოღონდ ელექტროენერგიას ნუ დამაკლებენ, დანარჩენი ჩვენზე იყოს! — დაამთავრა ამხანაგ ვასომ საუბარი.

*

ამხ. ვასოს საუბარი დამაჯერებელია. მართლაც, მთელი ქარხანა საათის მექანიზმივითაა აწყობილი, მისი ღუმელები დღეში 120 ტონა ფეროშენადნობს გვაძლევენ. ასეთ პირობებში ელექტროენერგიის ნაკლებობა დამღუპველი იქნებოდა რენტაბელობის გზით მიმავალი ფეროსათვის.

დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ამ მხრივ ფეროს!

ი. ნიჟარაძე

ფეროს ქარხნისა და მშენებლობის ტექნიკური დირექტორი

ახალი ამოცანების წინაშე

ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის ელექტროღუმელებმა მოგვცეს პირველი პროდუქცია. განვლილი დროის განმავლობაში ღუმელების ამუშავების დღიდან —ქარხნის მთელი კოლექტივი თავგამოდებით იბრძოდა მეტად რთული დანადგარების ათვისებისა და სწორი ტექნოლოგიური პროცესის დადგენისათვის.

ფირმა „სიმენსის" გერმანელი ინჟინრები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ტექნოლოგიურ პროცესს, ქარხნის მუშაობის პირველ თვეშივე დადგნენ, ერთის შეხედვით, მეტალურგიული კაზუსის ფაქტის წინაშე: სამივე ელექტროღუმელს მუშაობის მეოთხე თვეზე გამოეწვა ფსკერი.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქარხანა, როდესაც იგი ჩაიბარა ჩვენმა კოლექტივმა „სიმენსის" ფირმისაგან.

კაზმის სათანადო შერჩევით სწორი ტექნოლოგიური პროცესის წარმოებით, და განსაკუთრებით ელექტროენერგიის დატვირთვით ელექტროღუმელების ფსკერის გაწვის პრობლემა ბრწყინვალედ იქნა გადაჭრილი. ამჟამად ჩვენი ელექტროღუმელები მუშაობენ 13—15 თვეს და ფსკერის გამოწვის არავითარი ნიშანი არ ეტყობათ.

კოქსისა და ტყიბულის ქვანახშირის ნარევის გამოყენებამ კაზმში საგრძნობლად გააუმჯობესა ტექნოლოგიური პროცესი. ყველა აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ ღუმელის ნაყოფიერება დღეღამის განმავლობაში, აიყვანა 22 ტონიდან 42 ტონამდე.

პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი მრეწველობის წინაშე დაყენებული ამოცანა — რენტაბელურად და უდოტაციოდ მუშაობის შესახებ ჩვენი კოლექტივისათვის გადაიქცა ერთერთ მძლავრ სტიმულად წარმოების რეზერვების მაქსიმალურად გამოსაყენებლად და პირველ რიგში კი წარმოების ნარჩენების—წიდის გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად.

1935 წლის მესამე კვარტალში ქარხნის მიერ დაწყებული იქნა წიდის გრანულაცია, რამაც საშუალება მოგვცა წიდის გამოშვების მექანიზაციისა. ამან მოგვცა დამხმარე მასალები და მუშახელის საგრძნობი ეკონომია.

ა.-კავკ. ნაგებობათა ინსტიტუტის მუშაკების მიერ ჩატარებულ იქნა ცდები გრანულირებული წიდისგან ცემენტის მისაღებად. ეს ცდები მეტად ნაყოფიერი იყო და წიდის ცემენტის გამოყენება კომუნალურსა და საბინაო მშენებლობაში სავსებით გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად ჩვენს უახლოეს ამოცანას შეადგენს შევქმნათ საქარხნო მასშტაბით წიდის ცემენტის წარმოება.

გარდა ამისა, თხევად წიდაზე ჰაერის შებერვით მიღებულია წიდის ბამბა, რომელიც მეტად მაღალი ხარისხის თბოსაიზოლაციო და ბგერის საიზოლაციო მასალაა.

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ტრესტ „სპეცსტალის" მიერ ჩვენი ქარხნის წინაშე დასმულია ამოცანა — აჯამეთის ხალცედონისგან მივიღოთ 75 პროც. ფეროსილიციუმი. 1936 წელს ექსპლოატაციაში შევა ფერო-მოლიბდენის ქარხანა, ელექტროდების საამქრო და საგლომერაციო ფაბრიკა ჭიათურის მარგანეცის მადნის შეცხობის საწარმოებლად.

ჩვენმა ქარხანამ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში იკისრა ვალდებულება — შეამციროს დოტაციის მიღება 200 ათასი მანეთით, 1936 წ. ჩვენ, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური მობილიზაციით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით, საწარმოო პროცესების მექანიზაციითა და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით — სრულიად უარს ვიტყვით დოტაციის მიღებაზე და ჩვენს წარმოებას სავსებით რენტაბელურს გავხდით.



ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის წინახედი

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

ჟენევა, 7 ოქტომბერი. დღეს ერთა ლიგის საბჭოს საჯარო სხდომაზე გაიმართა 13-თა და 6-თა კომიტეტის მოხსენების განხილვა. როგორც უკვე მოელოდნენ, ალოიზიმ სხდომის წინ განაცხადა, 13-თა კომიტეტის მოხსენების საჯარო განხილვის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მოითხოვა 6-თა კომიტეტის მოხსენებაზე დისკუსიის გადადება, რათა ამ მოხსენების შინაარსი რომის მთავრობისათვის ეცნობებინა. იტალიის მოთხოვნას ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია იდენმა. ინგლისელები ფიქრობენ, გადადება გაგებული იქნება, როგორც საბჭოს წევრთა შორის უთანხმოების ნიშანი და შეასუსტებს დღევანდელი აქტის მორალურ მნიშვნელობას. მოწვეულ იქნა საბჭოს საიდუმლო სხდომა, რომელმაც დაადგინა უარყოფილ იქნას იტალიის მოთხოვნა და დღესვე მოხდეს 6-თა მოხსენების საჯარო განხილვა.

დღეს საღამოს საბჭოს თავმჯდომარემ, არგენტინის დელეგატმა რუიზ გინაზუმ გახსნა საბჭოს საჯარო სხდომა. დღის წესრიგში პირველად იდგა 13-თა მოხსენება. ალოიზიმ კვლავ გამოაქვეყნა ვრცელი დეკლარაცია, რომელშიაც თითქმის უცვლელად იყო განმეორებული იტალიის წინანდელი განცხადებები. ალოიზი უარყოფდა 13-თა კომიტეტის დასკვნის სისწორეს და, სხვათა შორის ედავებოდა მოხსენების იმ მტკიცებას, იტალია თითქოს 4 სექტემბრამდე არ გამოსულიყოს ფორმალური ბრალდებებით აბისინიის წინააღმდეგ.

ალოიზიმ განაცხადა: „იტალიის მთავრობას უნდოდა მოთმინებით დაელოდნა ულ-ულის ინციდენტის გამო შექმნილი არბიტრაჟის შედეგებისათვის". ალოიზის დეკლარაცია შეიცავდა აგრეთვე პოლემიკურ გალაშქრებებს „იმათ წინააღმდეგ, ვინც იმაზე ზრუნავს რომ რადაც უნდა დაუჯდეს, დაიცვას მონათმფლობელი სახელმწიფო", ილაშქრებს აბისინიის წინააღმდეგ, „რომელიც მთელ მსოფლიოს წინაშე თამაშობს მსხვერპლის როლს".

აბისინიის დელეგატმა ტეკლე ჰავარიატემ ვრცელ დეკლარაციაში კმაყოფილება გამოთქვა 13-თა მოხსენების გამო და აღნიშნა, სხვათა შორის, იტალიის მტკიცების სრული უსაფუძვლობა, თითქოს იტალია აბისინიის თავდასხმის მსხვერპლს წარმოადგენდეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მოახდინა 13-თა მოხსენების პროექტის სახელობითი კენჭისყრა. მოხსენებას ხმა მისცა საბჭოს 13 წევრმა. იტალიის წარმომადგენელმა წინააღმდეგ მისცა ხმა, აბისინიის წარმომადგენელმა კი მხარი დაუჭირა მოხსენებას. ვინაიდან, პროცედურის თანახმად, დაინტერესებული მხარეების ხმები მხედველობაში არ მიიღება, თავმჯდომარე აცხადებს, მოხსენება მიღებულია ერთხმად 13 ხმით.

შემდეგ საბჭო გადავიდა 6-თა კომიტეტის მოხსენების განხილვაზე. კომიტეტის თავმჯდომარემ — პორტუგალიის დელეგატმა მონტეიროს წაიკითხა მოხსენების ტექსტი. ალოიზიმ კატეგორიული პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ იტალიის მთავრობას დრო არ მისცეს გასცნობოდა ექვსთა მოხსენებას. ტეკლე ჰავარიატე ეთანხმება ექვსთა მოხსენების დასკვნას და კვლავ სთხოვს საბჭოს, რათა კომიტეტმა მიმართოს მხარეებს მოწოდებით, შესწყვიტონ მტრული მოქმედება.

ალოიზის პასუხად, საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს, საომარი მოქმედების დაწყების მომენტიდან უკვე ხუთი დღე გავიდა და ლიგის ყოველმა წევრმა სათანადო მომენტში უნდა იკისროს პასუხისმგებლობა; იგი დასძენს, ალოიზის საშუალება ექნება შემდგომ სხდომებზე გამოსთქვას თავისი შენიშვნები და საწინააღმდეგო მოსაზრებები. რაც შეეხება აბისინიის დელეგატის თხოვნას, 13-თა კომიტეტის მოხსენების დასკვნითი პარაგრაფი, რომელიც პაქტის დარღვევის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს, არ შეიძლება გაგებულ იქნას მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მიერ სხვანაირად, თუ არა როგორც მოწოდება საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის.

ამის შემდეგ ხდება ექვსთა კომიტეტის მოხსენების სახელობითი კენჭისყრა. ალოიზი აცხადებს, არ ვიწონებ ამ მოხსენების დასკვნას და უფლებას ვიტოვებ შემდეგ გამოვსთქვა საწინააღმდეგო მოსაზრებებით. ტეკლე ჰავარიატე ეთანხმება მოხსენების დასკვნას. საბჭოს დანარჩენი 13 წევრი იწონებს მოხსენების დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს: როგორც საბჭოს 13-მა წევრმა განაცხადა, მოწმენი ვართ ომისა, რომლის დაწყება ლიგის წესდების მე-12 მუხლის დარღვევას წარმოადგენსო.

ამის გამო ექვსთა კომიტეტის მოხსენება, აგრეთვე ამ სხდომის ოქმები, ერთა ლიგის ყველა წევრს დაეგზავნება. როგორც ლიგის პლენუმმა 1921 წლის ოქტომბერში აღნიშნა, ლიგის წევრთა ვალდებულებანი უშუალოდ გამომდინარეობენ წესდებიდან და მათი შესრულება დაფუძნებულია ხელშეკრულებებისადმი ერთგულებაზე. საბჭომ უნდა უზრუნველყოს იმ ზომათა შეთანხმება, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას. მაგრამ ვინაიდან 9 ოქტომბერს ლიგის პლენუმი იკრიბება, უმჯობესად ითვლება პლენუმის დღის წესრიგში ამ საქმის შეტანა, ამიტომ თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, ექვსთა კომიტეტის მოხსენება და ამ სხდომის ოქმები ეცნობოს ლიგის პლენუმის თავმჯდომარეს ბენეშს. საბჭო ღებულობს თავმჯდომარის წინადადებას (ადს).

იტალია-აბისინიის ომი

ლონდონი, 7 ოქტომბერი. რასი აი ილუ (აბისინიის ჯარების სარდალი ჩრდილოეთის ფრონტზე), იუწყება, რომ იტალიის 16 თვითმფრინავმა ყუმბარებით და ტყვიამფრქვევებით იერიში მიიტანა ამბასირაზე, კასტასა და მაქაჩზე.

„ტაიმსის" კორესპონდენტი ფიქრობს, რომ იტალიის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთ აბისინიაში პანიკა ვერ გამოიწვიეს.

კვლავ დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ რას აი ილუს ჯარები ერიტრეაში ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ.

ზოგიერთი ცნობით, აბისინიის ჯარები რას კასის სარდლობით ერიტრეისაკენ მაკალედანაც მიიწევენ.

რეიტერის სააგენტოს ადის-აბებელი კორესპონდენტის გადმოცემით, ადუის რაიონში მომხდარი ბრძოლის დროს იტალიის ოთხი ტანკი ჩავარდა აბისინელთა მიერ ამოთხრილ ღრმა ორმოებში. ტანკებში მყოფი პირები დაიღუპნენ. ეს ორმოები იმდენად ღრმაა, რომ იქიდან ტანკების ამოღება ძნელია.

ასმარის იტალიური შტაბის ცნობებით, იტალიელებმა ადუის რაიონში მომხდარი ბრძოლების დროს დაჰკარგეს 600 კაცი, —მოკლული და დაჭრილი. ერიტრეიდან მიღებული ცნობების თანახმად, იტალიელთა შეტევა „სრულიადაც არ მიმდინარეობს შეუფერხებლად".

„იქსჩეინჯ ტელეგრაფის" ასმარელი (ერიტრეა) კორესპონდენტის გადმოცემით, იტალიელებმა შესძლეს ჩაეშალათ აბისინელების ცდა — შემოევლოთ იტალიის ფლანგისათვის ერიტრეაში. თვითმფრინავებმა ბირკუტანის მთის რაიონში აღმოაჩინეს აბისინელთა მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებიც საზენიტო ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებული. იტალიელებმა, როგორც აცხადებენ, ყუმბარების დაშენით მოახერხეს მათი გაფანტვა. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, იტალიის 16 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა საკოტას, დაახლოებით 160 კილომეტრის მანძილზე ადუის სამხრეთით.

სამხრეთის ფრონტზე ოგადენში იტალიის თვითმფრინავებმა ხელმეორედ დაუშინეს ყუმბარები გორაჰაის, სადაც აბისინიის სამხედრო რადიო სადგურია. ჩაცვდა 800 ყუმბარა, მათგან მხოლოდ 100 აფეთქდა. აბისინელების მხრივ მოკლულია 5 და დაჭრილია 15 კაცი.

არუსის პროვინციის გუბერნატორს ნასიბუს აქვს დაწყებული შეტევა დოლოს რაიონში, რომელიც მდებარეობს აბისინიის, იტალიური სომალის და ინგლისის კოლონია კენიის საზღვარზე (ადს).

ტფილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, 8 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. საქფილეგტის ბაღში შესდგა ტფილისის საბჭოს პლენუმი, რომელმაც მოისმინა წყალკანალტრესტის დირექტორის — ამხ. შ. კილურაძის მოხსენება —ქალაქის წყლით მომარაგების საკითხებზე და ტფილისის საბჭოს მდივნის — ამხ. გორდეზიანის მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო კონკურსში ტფილისის საბჭოს მონაწილეობისა და მის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ორივე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15-მდე დეპუტატმა. ორივე მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლუციებით პლენუმმა მოიწონა ტფილისის საბჭოს მუშაობა.

აბისინიის არმიის ნაწილებმა გაარღვიეს იტალიის ფრონტი

ბერლინი, 7 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატის" კორესპონდენტი ადის-აბებიდან იუწყება, რომ აბისინიის ძირითად ძალებს საომარ მოქმედებაში ჯერ კიდევ არ მიუღიათ მონაწილეობა და რომ მობილიზაცია მხოლოდ სანახევროდ დამთავრდა.

იმავე ცნობით, აბისინიის არმიის ნაწილებმა რას სეი იუმის სარდლობით გაარღვიეს იტალიის ფრონტი ადუის ჩრდილოეთით, გავიდნენ მდინარე მარებს და მძლავრად შეუტიეს იტალიის ნაწილებს.

150 ათასი აბისინელი რას კასასის სარდლობით მიემართება დებრა ტაბორის გზით, ადუის რაიონში, რას სეი იუმის ჯარების დასახმარებლად. რას კასასი 70 ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმით გაიგზავნა დედ იასმაჩ აილოუს დასახმარებლად, ჩრდილოეთ დასავლეთის უბნის დაცვის მიზნით (ადს).

„ტაიმსი" ადუის აღების შესახებ

ლონდონი 7 ოქტომბერი. იტალიის ჯარების წინსვლამ და მათ მიერ ადუის აღებამ ინგლისის სამხედრო წრეებზე დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ხაზს უსვამენ რომ იტალიის ჯარებმა აიღეს მხოლოდ ის, რის საბოლოო დაცვაზეც აბისინელებმა წინასწარვე აიღეს ხელი.

„სტრატეგიული მხრით. — სწერს „ტაიმსი", — ადუის დაკავებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს და აბისინიის სარდლობას ეს წინდაწინვე ჰქონდა გათვალისწინებული" (ადს).

ფაშისტური იტალიის ვარაუდი

რომი, 7 ოქტომბერი. „ლავორო ფაშისტა" იმედს გამოსთქვამს, რომ „საქმე ჩაივლის" სანქციების რეალურად გამოუყენებლად. იტალიის წრეებში მთავარ იმედს საფრანგეთის პოზიციაზე ამყარებენ, თუ „სტამპის" მიერ გამოთქმულის მიხედვით დავასკვნით, იტალიის ვარაუდი იმას ემყარება, რომ ჟენევაში საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღება კიდევ 7—8 კვირით გაჭიანურდეს და ამ კვირეებმა იტალიას საშუალება მისცენ დაამთავროს საომარი ოპერაციების განსაზღვრული ნაწილი, ვიდრე სანქციების საკითხი ისეთი ფორმით დაისმოდეს, რომ ნამდვილი ბლოკადა რეალური გახდება. ამ ხნის განმავლობაში იტალია შესძლებს მიაღწიოს აბისინიაში ისეთ შედეგებს, რომ უფრო ადვილი იქნება ახალი ბაზის გამონახვა შეთანხმებისათვის, სანამ საბოლოო სანქციების გამოყენების საკითხი დადგებოდეს (ადს).

გერმანია დაცდის პოზიციას დაადგა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. ნაციონალ-სოციალისტთა წრეებიდან გამომდინარე ცნობებით, არ უნდა მოველოდეთ, რომ გერმანიის პოზიცია იტალიის წინააღმდეგ სანქციების მიმართ უახლოეს დღეებში გამოირკვევა. გერმანია დაცდის პოზიციას დაადგა, მას განზრახული აქვს მანამდე იდგეს ამ პოზიციაზე, სანამ არ გამოირკვევა, თუ ვის მხარეზე იქნება უპირატესობა შესაძლო ევროპულ გართულებებში, რათა მაშინ მიემხროს უძლიერეს მხარეს რაც შეიძლება მეტი კომპენსაციების მიღებით (ადს).

დიპლომატიური კორპუსის წევრთა მიმართვა

ლონდონი, 7 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ადის-აბებაში მყოფი დიპლომატიური კორპუსის წევრებმა ტელეგრაფით მიმართეს თავის მთავრობებს მოსთხოვონ იტალიის მთავრობას, რათა მან პირობა დასდოს, რომ ადის-აბებასა და დირედავას ყუმბარებს არ დაუშენენ. დიპლომატიური კორპუსი შესდგება ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, საბერძნეთის, ეგვიპტისა და თურქეთის წარმომადგენლებისაგან. ამჟამად ადის აბებაში სცხოვრობს 6 ათასი უცხოელი, ხოლო დირედავაში 2 ათასი.

აბისინიის იმპერატორის ბრძანება

ლონდონი, 7 ოქტომბერი. პრესის ცნობით, აბისინიის იმპერატორმა გასცა ბრძანება, რომლითაც ადის-აბების მთელ მოსახლეობას წინადადება ეძლევა თხარონ სანგრები. სანგრებს თხრიან ქალაქის გარშემო მდებარე გორაკებზე. რეიტერის სააგენტო იუწყება: ადის-აბების მოსახლეობის ევაკუაცია იმდენად ფართოდ გაიშალა, რომ იტალიის თვითმფრინავებს ბომბარდირების დროს მხოლოდ პოლიციელები დახვდებათ იქ (ადს).

იტალიის ჯარისკაცებს არ უნდათ აბისინელებთან ომი

ვენა, 7 ოქტომბერი. ბაზელის „ნაციონალ ცაიტუნგის" რომაელი კორესპონდენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ომი აბისინიის წინააღმდეგ მეტად არაპოპულარულია, რაც ემჩნევა იტალიის მოსახლეობის უფართოეს მასებს, მიუხედავად იტალიის ოფიციალური ურაპატრიოტული ცნობებისა. „იტალიაში,—სწერს კორესპონდენტი, — თითქმის არავის აინტერესებს აბისინია, გარდა სამხედრო საჭურვილის მიმწოდებელი აგენტებისა და სამხედრო მრეწველობის ტრესტებისა" (ადს).

რუზველტის ცნობა

ვაშინგტონი, 6 ოქტომბერი. რუზველტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც იგი აფრთხილებს ამერიკელ მოქალაქეებს არ იმგზავრონ ომის დროს იტალიისა და აბისინიის გემებით. ეს ცნობა გამოქვეყნდა ეგრეთწოდებულ „ნეიტრალიტეტის კანონთან" შეფარდებით, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ კონგრესმა მიიღო. ფაქტიურად საქმე ეხება მხოლოდ იტალიის გემებს, ვინაიდან აბისინიას ფლოტი არ გააჩნია.

რუზველტის განცხადებამ, როგორც ჩანს ხელი უნდა შეუწყოს სანქციების გამოყენებას იტალიის წინააღმდეგ, ვინაიდან რუზველტმა გვაგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს იღებს იმ ამერიკელთა დაცვაზე, რომლებიც ბლოკადას დაარღვევენ (ადს).

ადუის აღების გამო იტალიის პრესა ზეიმობს

რომი, 7 ოქტომბერი. ადუის აღების ცნობასთან დაკავშირებით, დღევანდელი გაზეთები ზეიმს ეძლევიან.

რამდენადაც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იტალიელი კორესპონდენტების ცნობების მიხედვით, აბისინელები ადუასთან გადამწყვეტ ბრძოლას არ გამართავთ. გაზეთ „რესტო დელ კარლინოს" კორესპონდენტი სწერს, რომ აბისინელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ევროპელი ინსტრუქტორები ჰყავთ, კვლავ დიდ კომპაქტურ მასებად მოქმედებენ, რაც იტალიის ავიაციას საშუალებას აძლევს უდიდესი ზარალი მიაყენოს მათ". იტალიის ტყვიამფრქვევები,—სწერს კორესპონდენტი,—მათ ბალახივით სცელავენ".

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თითქმის სრულიად არ მოიპოვება ცნობები ტყვეთა შესახებ. მათი რიცხვი, ეტყობა, ძალიან მცირეა. მაგალითად, გაზეთი „ილ პოპოლო" გადმოგვცემს: „წამოყვანილია 28 ტყვე". ეს, ალბათ, მოწმობს, რომ აბისინელები საკმაოდ ორგანიზებულად იხევენ უკან. ადუის რაიონში, იტალიური გაზეთების ცნობით, დაახლოებით 50 ათასი აბისინელი მეომარია.

დღეს ნეაპოლიდან აღმოსავლეთ აფრიკაში იგზავნება 5 ტრანსპორტი ჯარებით, არტილერიით, ავტომობილებითა და სანიტარული რაზმებით (ადს).

პარიზი, 7 ოქტომბერი. მთელი რიგი გაზეთების ფრიად სკეპტიკურად აფასებენ იტალიელთა მიერ აბისინიაში ჩატარებულ საომარი ოპერაციების შედეგებს. „ევრი" ადუის აღების ცნობების შესახებ სწერს, რომ ეს „დიდი გამარჯვება" აბისინელთა ისლიის სახლებზე იტალიის არმიის ვერავითარ სახელს შეჰმატებს.

თავით ფეხამდე შეიარაღებულმა იტალიის ჯარებმა,—სწერს „ფიგარო",—თუმცა მათ სუსტად შეიარაღებული მოწინააღმდეგე ჰყავთ; 5 დღის განმავლობაში მოახერხეს მხოლოდ 60 კილომეტრით წაწევა წინ. გაზეთი აღნიშნავს, რომ „დღემდე აბისინიის ნამდვილ ძალებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ" (ადს).

აბისინიის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა ერთა ლიგას

ჟენევა, 7 ოქტომბერი. ერთა ლიგას მოუვიდა აბისინიის საგარეო საქმეთა მინისტრის შემდეგი დეპეშა:

„იტალიის ჯარი ორი თვითმფრინავის თანხლებით, შევიდა გუშინ ადუაში, წინააღმდეგობა არავის გაუწევია, წინასწარ ადიგრატი დაიკავეს. ჩვენი ჯარი, რომელიც ადუას გარეთ დაბანაკებული, [illegible] ამ ყველა შეტაკებაში ჩვენი მხრიდან მხოლოდ სასაზღვრო და პატარა იზოლირებული რაზმები იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენი ჯარები ჯერ ბრძოლაში არ ჩაბმულან.

იტალიის მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში მომზადებული აგრესია აბისინიის წინააღმდეგ, რომელსაც სისტემატიურად უარს ეუბნებოდნენ მისთვის თავდასაცავად საჭირო იარაღზე, ამგვარად მთლიანად განხორციელებულია იმ რაიონში, სადაც საზღვარი ნათლად არის დადგენილი ხელშეკრულებებით და სადაოს არ წარმოადგენს". (ადს)

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს უფროსთა შემადგენლობის სპეციალურ სახელწოდებათა შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს უფროსთა შემადგენლობისათვის ქვემოჩამოთვლილი სპეციალური სახელწოდებანი:
1) სერჟანტი,
2) უმცროსი ლეიტენანტი,
3) ლეიტენანტი,
4) უფროსი ლეიტენანტი,
5) კაპიტანი,
6) მაიორი,
7) უფროსი მაიორი,
8) მე-3 რანგის კომისარი,
9) მე-2 რანგის კომისარი,
10) 1 რანგის კომისარი.

2. დაევალოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს:

ა) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატის მთავარ სამმართველოს უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის დებულების პროექტი;

ბ) მოახდინოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს უფროსთა მთელი შემადგენლობის ატესტაცია, მისთვის სათანადო სპეციალურ სახელწოდებათა მიკუთვნებით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. აკულოვი

მოსკოვი, კრემლი.
1935 წ. 7 ოქტომბერი.

საბჭოთა მწერლები პრაღაში

სადილი დელეგაციის პატივსაცემად

პრაღა, 7 ოქტომბერი. სადილზე, რომელიც გუშინ ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტთა კავშირმა პრაღაში მყოფ საბჭოთა მწერლებისა და ჟურნალისტების დელეგაციის პატივსაცემად გამართა, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ჟურნალისტიკის წარმომადგენლებმა ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სიტყვებით. მისასალმებელ სიტყვაში ჩეხოსლოვაკიის პრესის უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ შვიგოვსკიმ განაცხადა:

„დემოკრატიულ თანამშრომლობის ნიშნით ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო სფეროში. ამ ბაზაზე საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ ერთა ლიგის ფარგლებში. საბჭოთა კავშირი და ჩეხო-სლოვაკია წარმოადგენენ დიდ მორალურ ძალას, რომელიც მუშაობს მშვიდობიანობის სასარგებლოდ. ჩვენ ვლაპარაკობთ ერთ ენაზე— მშვიდობიანობის ენაზე".

ჩეხო-სლოვაკიის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ პიხლმა წარმოსთქვა სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის კალინინის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ლიტვინოვის სადღეგრძელო. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხო-სლოვაკიაში ალექსანდროვსკი და საბჭოთა ჟურნალისტებისა და მწერლების დელეგაციის თავმჯდომარე კოლცოვი. ალექსანდროვსკიმ ღრმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ორივე ქვეყნის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები სიმპატიებს იჩენენ ერთმანეთისადმი.

ამხ კოლცოვმა თავის სიტყვაში სთქვა:

„ჩვენ რომ თქვენთან ერთად ცრუმორწმუნე ხალხი ვიყოთ, შეგვეძლებოდა აღგვენიშნა, რომ ჩვენი ჟურნალისტური შეხვედრიდან ზუსტად 9 თვის შემდეგ ქვეყნად წარმოიშვა საზიზღარი არსება— იტალია-აბისინიის ომი... მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ყოველ შემთხვევაში საბჭოთა ხალხი და ჩეხო-სლოვაკები არ არიან ამ არსების წარმომშობნი. პირიქით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სწორედ საბჭოთა და სწორედ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ ისეთი უნიჭიერეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა სახით, როგორიცაა სახალხო კომისარი ლიტვინოვი და მინისტრი ედუარდ ბენეში, ყველა ღონისძიება იხმარეს, რათა თავიდან აეცილებინათ ეს ომი. აღელვებითა და იმედებით ვადევნებთ თვალყურს ამ დღეებში მათ ენერგიულ მოღვაწეობას, რომელიც გამოხატავს ჩვენი ორივე მთავრობის მშვიდობისმოყვარეობას. თანამედროვე ევროპაში, რომელსაც ახალი საომარი კატასტროფა ემუქრება, მოხდა მშვიდობიანობის დამცველ სახელმწიფოთა ბუნებრივი დაახლოება. ისინი უპირისპირდებიან იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ომზე ოცნებობენ. ჩვენ ვამაყობთ, იმით, რომ ჩვენი მთავრობები აქ იჩენენ ნაყოფიერ და შემოქმედებითს ინიციატივას. საბჭოთა კავშირის პრესა, რომლის წარმომადგენლებადაც ჩვენ აქ გამოვედივართ, ეს არის ათი ათასი გაზეთი, ოთხმოცი მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. ამ გაზეთებში არა მარტო ბევრი ათეული ათასი ჟურნალისტი და მწერალი მუშაობს, არამედ, არსებითად ჩვენი ქვეყნის თვითეული მომზადებული მოღვაწე მონაწილეობს საბჭოთა პრესაში. პრესა ჩვენში ხალხის ხმას წარმოადგენს. ის არა მარტო საბჭოთა დემოკრატიის ფაქტორია, არამედ თვითონ იგი ამ დემოკრატიის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. და აი ჩვენ, საბჭოთა პრესა—ჟურნალისტები, ჩვენ, მწერლები, რომელთაც ჩვენი ხალხის დიდმა ბელადმა სტალინმა „სულის ინჟინრები" უწოდა, ჩვენ გეუბნებით დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტებსა და მწერლებს: მოდით ვიმოქმედოთ ერთიანად კაცობრიობის საუკეთესო მიღწევებისათვის, ომის საშიშროების წინააღმდეგ, მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ" (ადს).

გერმანიის ელჩი გრაფი ფონ-დერ-შულენბურგი ტფილისში

6 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა.-კ. ს.ფ. რესპუბლიკაში ამხ. ასტახოვმა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შენობაში გამართა სადილი გერმანიის ელჩის ტფილისში ჩამოსული გრაფი ფონ-დერ-შულენბურგის პატივსაცემად.

სადილმა და მეგობრულ ატმოსფეროში გამართულმა საუბარმა ფრიად ცხოვლად ჩაიარა.

7 ოქტომბერს გრაფ ფონ-დერ-შულენბურგის პატივსაცემად გერმანიის გენერალურ საკონსულოში დარბაზობა გაიმართა.

ტფილისში ყოფნისას გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში, გრაფმა ფონ-დერ-შულენბურგმა თავის ქალიშვილითურთ დაათვალიერა ძველი და ახალი ქალაქი და ინახულა საქართველოს მუზეუმი.

8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე გრაფი ფონ-დერ-შულენბურგი ქალიშვილითურთ ავტომობილით ერევანს გაემგზავრა (ადს).

ნ. ჯინჭარაძე

იმპერიალისტური წინააღმდეგობანი აბისინიის გარშემო

ევროპის სახელმწიფოთა გაფართოებულ ბრძოლას აბისინიის დასაპყრობად 60 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ეს ქვეყანა ერთად-ერთი სახელმწიფოა აფრიკის კონტინენტზე, რომელსაც, დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ ღრმა წინააღმდეგობათა გამო, დღემდე შეუნარჩუნებია დამოუკიდებლობა.

აფრიკის ტერიტორიათა კოლონიური დაპყრობა დაიწყო, მსოფლიოს სხვა ნაწილებთან შედარებით, უფრო გვიან, მაგრამ 1900 წელს აფრიკის ფართობის 90,4 პროცენტი უკვე ეკუთვნოდა ევროპის მონოპოლისტურ კაპიტალს. ამასთან ძირითადი, ეკონომიურად რენტაბელური რაიონები აფრიკაში, გავლენის სფეროთა გაფართოების დროს, უმთავრესად ინგლის - საფრანგეთის იმპერიალიზმს ჩაუვარდა ხელში.

რაოდენობრივად აფრიკის წილი მსოფლიოს საქონელბრუნვაში დიდი არ არის, იგი შეადგენს მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ 5 პროცენტს. მაგრამ ამ კონტინენტს ზოგიერთი დარგის ნედლეულის მარაგის მხრივ მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია.

აფრიკის ხვედრითი წონა ისეთი უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულში, როგორიცაა ოქრო, ბამბა, ყავა, კვების პროდუქტები, ალმასი და სხვა, ფრიად დიდია. აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ამ კონტინენტის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილთან, ხმელთაშუა და კარის ზღვების ნაპირას, გადის დიდი ბრიტანეთის საკომუნიკაციო ხაზი ინდოეთის ოკეანესაკენ. ეს ხაზი ითვლება ბრიტანეთის იმპერიის სასიცოცხლო არტერიად, ძარღვად.

აბისინიას, რომელიც აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და კოლონიური სახელმწიფოებით არის გარსშემორტყმული, უკავია 560 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ტერიტორია. იგი წარმოადგენს ფეოდალურ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობა 11-12 მილიონ კაცს შეადგენს. აქედან 2 მილიონი კაცი მონათმფლობელურ შრომას ეწევა. აბისინიას გააჩნია უდიდესი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა: ქვანახშირი, ოქრო, რკინა, თუთია, პლატინა, კალა და სხვა.

კლიმატური პირობები სავსებით ხელსაყრელია უძვირფასესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განსავითარებლად (ყავა, თამბაქო, ბამბა და სხვა). აბისინიაში მოიპოვება აგრეთვე უზარმაზარი მინერალური რესურსები.

თუ ამას კიდევ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ აბისინია, რომელიც აზიისა და აფრიკის გზაჯვარედინზე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უდიდეს ბუნებრივ და სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენს წითელ ზღვაზე. ცხადი გახდება. რატომ ისწრაფიან იმპერიალისტური სახელმწიფოები საბოლოოდ გადააქციონ ეს ქვეყანა კოლონიური ექსპლოატაციის საგნად.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ინგლისმა ენერგიულად იწყო წინწაწევა აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში და იქ დიდი გავლენა მოიპოვა, ხოლო სუეცის არხის გაყვანით, (1869 წ.), რომელიც ორივე მატერიკის შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს, მან დაიკავა ინდოეთისაკენ მიმავალი ძირითადი გზები.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფრანგეთის კაპიტალის ფართო ექსპანსიამ აფრიკაში ინგლისის იმპერიალიზმს საფრთხე შეუქმნა. საფრანგეთი აბისინიის შუაგულში შეჭრით ემუქრებოდა ინგლისის ბატონობას ეგვიპტეში, რომელიც ინგლისის მრეწველობისათვის ნედლეულის უზარმაზარ მარაგს იძლევა.

ამ პერიოდში სცენაზე გამოდის იტალიის ახალგაზრდა იმპერიალიზმი, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკას ეტანება, მაგრამ იგი მაშინ ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას, რომელიც შესძლებს მეტოქეობას დიდ ბრიტანეთთან.

ომამდელ პერიოდში ინგლისი განსაკუთრებით ცხარე წინააღმდეგობას უწევდა მისწრაფებას აბისინიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობისა, სადაც ტბა ტანა მდებარეობს. ამ ტბიდან ღებულობს სათავეს ცისფერი ნილოსი, რომელიც თავისი შენაკადებით ჰქმნის ბასეინს ეგვიპტისა და ინგლის-ეგვიპტის სუდანის სარწყავად.

ამიტომ 1906 წელს, სამ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადებისას, ინგლისმა მიაღწია იმას, რომ აბისინიის ჩრდილო - დასავლეთი ნაწილი თავის გავლენის სფეროში შეინარჩუნა, ხოლო საფრანგეთმა და იტალიამ მიიღეს რკინისგზის გაყვანის კონცესიები. პირველმა — ჯიბუტიდან ადის-აბებამდე, ხოლო მეორემ — თავისი კოლონიის (ერიტრეა) ჩრდილო-ნაწილიდან სამხრეთ ნაწილამდე, ამასთან მან მოიპოვა აღნიშნული რაიონების მომიჯნავე უბნების ექსპლოატაციის უფლებაც.

იტალია (ისე, როგორც გერმანია) შედარებით უფრო გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. 1870 წლამდე იტალიის ექსპლოატაცია სხვა ერთა ბურჟუაზია ეწეოდა, რადგან იტალიის ეკონომიური წყობილება დაქუცმაცებულ - ფეოდალურ მეურნეობებს ეყრდნობოდა, ხოლო ახალი ურთიერთობა არ იყო ფართოდ განვითარებული და იტალიის ბურჟუაზიას საგარეო სფეროში არ შეეძლო აქტივობა გამოეჩინა. ამ ისტორიული მიზეზების გამო იტალია ძალიან გვიან შეუდგა კოლონიების დაპყრობას, რასაც არ შეეძლო ღრმა გავლენა არ მოეხდინა იტალიის იმპერიალიზმის შემდგომ განვითარებაზე.

1871 წლის შემდეგ იტალიაში მეურნეობის კაპიტალისტურმა სისტემამ საბოლოოდ გაიმარჯვა ფეოდალებზე, და ეს ქვეყანა დაადგა არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზრების გაფართოების გზას. ამან თავის მხრივ მოითხოვა ტერიტორიულ სამფლობელოთა გადიდება ვინაიდან აპენინის ნახევარ-კუნძული ძალიან ახლოა აფრიკასთან (იგი იტალიას დაშორებულია 145 კილომეტრით), იტალიამ თავისი ექსპანსია, უწინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთ აფრიკისაკენ წარმართა, მით უმეტეს, რომ კონტინენტის სხვა ნაწილებში მსოფლიოს განაწილება თითქმის უკვე სავსებით მოთავებული იყო.

იტალიამ მე-19 საუკუნის დამლევს ხელთ იგდო ერიტრეა და სომალი წითელი ზღვის და ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. ამის შემდეგ იგი შეეცადა მოეხდინა აბისინიის კოლონიზაცია, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიის დახმარებით აბისინიამ 1896 წელს იტალიელები დაამარცხა ადუასთან (ე. ი. იმ ქალაქთან, რომელსაც იტალიამ დაუშინა ყუმბარები ა. წ. 2 ოქტომბერს).

როცა იტალია 1914—18 წლების იმპერიალისტურ ომში ჩაება და ანტანტას მიემხრო, მან 1915 წელს მოკავშირეებთან დასდო ეგრეთწოდებული ლონდონის პაქტი, რომელიც ითვალისწინებდა მის კოლონიურ მოთხოვნებს აფრიკასა და წინა-აზიაში, თუ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი გაიმარჯვებდა, მაგრამ ლონდონის პაქტით მიცემული დაპირებანი არ შეასრულეს, და ამან იტალიის ბურჟუაზია ძალიან გააღიზიანა.

კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისმა ძირფესვიანად შესცვალა კაპიტალისტურ ძალთა განწყობილება, მათი მიმართება. მსოფლიო პოლიტიკაში მოხდა დიდი სახელმწიფოების გადაჯგუფება და ორიენტაციის შეცვლა. აბისინიისათვის იმპერიალისტების ბრძოლაც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა.

მას შემდეგ, რაც იტალიის პროლეტარიატი რევოლუციისა და ომების პირველ ტურში დამარცხდა, იტალიის იმპერიალიზმმა შესძლო შეეცვალა კლასობრივი ბატონობის სახელმწიფო ორგანიზაცია და ფინანსური კაპიტალის ტერორისტული დიქტატურა — ფაშიზმის ბატონობა დაემყარებინა.

ფაშისტური სისტემა იტალიაში ავითარებდა და ავითარებს შოვინისტურსა და სოციალურ დემაგოგიას, რომელსაც იგი დიქტატურის რეაქციულ ფორმას უხამებს.

ფაშიზმის იდეოლოგიური მუშაობა მიზნად ისახავდა იტალიის მომზადებას ომისათვის და, მაშასადამე, კოლონიური ექსპანსიისათვის.

1935 წელს მის ცდას ინგლისთან ერთად მოეხდინა გავლენის სფეროთა ხელახალი დანაწილება აბისინიაში, დადებითი შედეგი ვერ მოჰყვა, ვინაიდან ინგლის - იტალიის შეთანხმებით ნავარაუდევი საკონცესიო ხელშეკრულებანი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ საფრანგეთის ინტერესებს, რომლის დახმარებითაც აბისინიამ ერთა ლიგაში მიაღწია აღნიშნული შეთანხმების გაუქმებას. იტალია შექმნილი საგარეო - პოლიტიკური ვითარების გამო იძულებული გახდა დროებით უკან დაეხია და 1928 წელს დაუდო აბისინიასთან მეგობრობის ხელშეკრულება, იტალია აპირებდა „მშვიდობიანი" გზით განემტკიცებინა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა აბისინიაში.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა იტალიაში განსაკუთრებით მწვავე ფორმა მიიღო. იტალიის იმპერიალიზმს არ გააჩნია ისეთი ეკონომიური რეზერვები, როგორიც, მაგალითად ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვებს. საშინაო ბაზრის მოცულობა დიდი არ არის, იგი თანდათან მცირდება იმის გამო, რომ კრიზისის სიმძიმე მშრომელ მასებს დაატყდა თავს, ხოლო იტალიის გავლენის საგარეო სფერო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფრიად უმნიშვნელოა.

თუმცა ომის შემდეგდროინდელმა იტალიამ მძლავრი საჰაერო და საზღვაო ფლოტი შექმნა, მაგრამ ეკონომიურად იგი აგრარულ - სამრეწველო ქვეყნად რჩება. იტალიაში ისევე, როგორც იაპონიაში, არსებობს დისპროპორცია მის სამხედრო - ტექნიკურ ბაზასა და ეკონომიურ მძლიერებას შორის.

ომისათვის მზადებამ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ზრდა. ამიტომ სავადამხდელო ბალანსის შეთანასწორება ძნელი ხდება იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ იტალიას ოქროს უმნიშვნელო მარაგი აქვს.

ფასების მკვეთრმა დაცემამ, საბანკო და საკრედიტო სისტემის კატასტროფამ, რაიმე პარიტეტის აღუნიშნავად ოქროთი ლირის უზრუნველყოფის კანონის გაუქმებამ და, მაშასადამე, მის გაუფასურებამ გამოიწვია საგარეო - სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი და ამით გაუარესდა იტალიის ეკონომიური მდგომარეობა.

ამას უნდა დაემატოს ის ფაქტიც, რომ იტალიის კოლონიები თვით იტალიას 1 პროცენტს ნედლეულსაც კი არ აძლევენ, მაშინ, როცა იტალიის საიმპორტო ბალანსში ქვანახშირის, რკინის, ბამბის, ნავთისა და სხვათა ღირებულება იმპორტის საერთო რაოდენობის 12-15 პროცენტს შეადგენს.

იტალიის ფაშიზმმა, რომელიც ცდილობს თავისი ეკონომიური წინააღმდეგობანი ომის საშუალებით გადასჭრას, კონფლიქტის ფორმალურ საბაბად გამოიყენა ულ-ულის ოაზისთან 1934 წ. დეკემბერში მომხდარი ინციდენტი და მკვეთრად დასვა აბისინიის დაპყრობის საკითხი.

ეს საგარეო აგრესიულობა ნაკარნახევი იყო კიდევ იმ გარემოებით, რომ იაპონიის მიერ ჩინეთის ტერიტორიის დაპყრობას შედეგად არ მოჰყოლია სახელმწიფოთა რეალური გამოსვლა, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ევროპის ცენტრში გერმანიის შეიარაღებამ გამოიწვია მხოლოდ სტრეზისა და ერთა ლიგის ფორმალური გადაწყვეტილებანი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ იაპონიის იმპერიალიზმი დაეუფლა აბისინიის არა მარტო საფეიქრო ბაზარს, არამედ საერთო ექსპორტის 60 პროცენტსაც.

ყველა ამ მომენტმა წააქეზა იტალიის იმპერიალიზმი აბისინიაზე თავდასხმისათვის.

თუ აბისინიის დასაპყრობად გაწეული პროპაგანდის პირველ პერიოდში ცივილიზატორულ მისიაზე ლაპარაკობდნენ (მონობის მოსპობა და სხვ.), ამჟამად იტალიის ბურჟუაზია აშკარად აცხადებს, აბისინიაში ფეოდალური და მონათმფლობელური ურთიერთობის მოსპობა ჩემი საქმე არ არისო, და ეს სავსებით გასაგებია; აღნიშნული ურთიერთობა ფინანსურ კაპიტალს ესაჭიროება ფართო საექსპლოატაციო მიზნებისათვის გამოსაყენებლად, ისე როგორც ეს ხდება ჩინეთსა და ინდოეთში.

გერმანიის იმპერიალიზმი იტალია-აბისინიის ომში გარეგნულად „ნეიტრალიტეტს" იცავს, მაგრამ არსებითად გერმანია იტალიას აქეზებს ომისათვის და ამით სურს ხელფეხი გაიხსნას მსოფლიოს რუკის შესაცვლელად. „კელნიშე ცეიტუნგი" 11 სექტემბრის ნომერში ამაზე გარკვევით სწერდა: „იტალია დაყენებული იქნება ევროპული ცივილიზაციის დამცველად აფრიკაში, ხოლო ფაშიზმი — სოციალური წესრიგის დამცველად ევროპაში".

ჯერ ერთი, გერმანია ისწრაფვის დაიბრუნოს ოკეანის გადაღმა მდებარე კოლონიები, რომლებთანაც კავშირი დღემდეც გრძელდება.

მეორეც, ჰიტლერ - გერინგს უნდათ გამოიყენონ აბისინიასთან ომი ექსპანსიის განსავითარებლად ბალკანეთსა და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რათა მოსპონ მცირე და ბალკანეთის ანტანტების სისტემა და მოაქციონ ისინი საბჭოების ქვეყანაზე თავდასხმის პლაცდარმში.

მესამე, ფაშისტური გერმანია ისწრაფვის ხელთ იგდოს ბალტიკის ტერიტორია.

გერმანიისაგან განსხვავებით, საფრანგეთი მოცემულ ეტაპზე არ აყენებს მსოფლიოს ახალი განაწილების საკითხს, და ეს აიხსნება იმ უბრალო მიზეზით, რომ 1914-18 წლების ომის შედეგად მისი მოთხოვნები სავსებით დაკმაყოფილებულია ტერიტორიისა და მათი უზარმაზარი ეკონომიური რესურსების მხრივ.

ამიტომ საფრანგეთი, ჩვენის აზრით, იტალიას მნიშვნელოვან დახმარებას ვერ გაუწევს, ვინაიდან კოლონიური ომი საფრთხეში ჩააგდებს საფრანგეთის სამფლობელოებს, თუ იქ რევოლუციური მოძრაობა დაიწყება და განვითარდება. ამას გარდა, აბისინიასთან ომის ფრიად ძნელი პირობები იტალიას ევროპული პოლიტიკის სფეროს გარეშე დააყენებს.

ამ ფაქტორებს ითვალისწინებდა ლავალი, როცა ლიგის სესიაზე აცხადებდა, აუცილებელია „მეორე სახელმწიფოს — ლიგის წევრის არსებობის შენარჩუნებაო" (იგულისხმებოდა აბისინია).

ტრადიციული მეგობრობა, რომელიც იტალიასა და ინგლისს შორის არსებობდა, ამ შემთხვევაში ჩაიფუშა. ინგლის - იტალიის წინააღმდეგობანი ისე გამწვავდა, რომ მსოფლიო პრესა უკვე არკვევს ომის პერსპექტივებს ხმელთაშუა ზღვაზე. საქმე ეხება არა მარტო ტანას ტბას და ცისფერ ნილოსს, არა მარტო გავლენის გაფართოებას წითელი ზღვის მეორე ნაპირზე (არაბეთის ნახევარ-კუნძულზე), არამედ იმასაც, რომ მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იტალიამ შექმნა საუცხოვო საავიაციო და საზღვაო ფლოტი, რომელსაც წარმატებით შეუძლია ინგლისის ფლოტს მეტოქეობა გაუწიოს.

ძალთა ახალი განწყობა არ შეიძლება არ ემუქრებოდეს ძირითად საკომუნიკაციო ხაზებს; გიბრალტარ-მალტა - ალექსანდრია - სუეც-ადენი, რომელიც ბრიტანეთის კუნძულებს აერთიანებს მათს მთავარ კოლონიებთან აზიაში.

ინგლისის იმპერიალიზმის ფხიზელ პოლიტიკოსებს ნათლად აქვთ შეგნებული ის ფაქტი, რომ იტალიის ექსპანსიამ აბისინიაში უდიდესი საფრთხე შეუქმნა ბრიტანეთის იმპერიას. და ეს სწორედ იმიტომ, რომ ხმელთაშუა და წითელი ზღვების ნაპირებთან ჩნდება მეზობელი — იტალია, რომელიც ინგლისის სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრება. სწორედ ამით აიხსნება ინგლისის მთავრობის ენერგიული გამოსვლა ჟენევაში. იგი იცავს ინგლისის ფინანსური კაპიტალის უშუალო კოლონიურ ინტერესებს და მოითხოვს სანქციების გამოყენებას ერთა ლიგის წესდების საფუძველზე. ამითვე აიხსნება ინგლისისა და იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების თავმოყრა ხმელთაშუა ზღვაში.

პრესის მიმოხილვა

პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ

„ლენინელი"—(ჯულელი), „დამკვრელი კოლმეურნე"—ლანჩხუთი

პარტიული დოკუმენტების შემოწმება ადგილებზე თითქმის დამთავრდა. რაიონულმა კომიტეტებმა შეაჯამეს ჩატარებული მუშაობა და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ცალკე პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

„შემოწმებამ პარტიულ ორგანიზაციებს დიდძალი მასალა და გამოცდილება მისცა პარტიული მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაგროვილი გამოცდილების მიხედვით მტკიცედ მოვკიდოთ ხელი პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნას მე-17 პარტყრილობის, ხაკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის და ხაკ. კ.პ. (ბ) ცენ. კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების (დეკემბერი-ივნისი) დადგენილებათა საფუძველზე.

...

 რი ამხ. ვლადიმერ სამხარაძე. („ლენინელი", 27 სექტემბერი).

პარტდოკუმენტების შემოწმებამდე ამხ. ვლადიმერ სამხარაძე თითით საჩვენებელი იყო, როგორც პოლიტსკოლის და პარტიულ სწავლების დეზერტირი. ახლა კი.

—„სამხარაძემ პარტდოკუმენტების შემოწმების შემდეგ საფუძვლიანად მოკიდა ხელი თავის თავზე მუშაობას, პოლიტსკოლაში ენერგიულად მეცადინეობს, ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლის საქმეში მოწინავედ ითვლება".

მარტო სამხარაძე როდი იქცევა ასე. გაზეთი „ლენინელის" ფურცლებზე წაიკითხავთ, რომ წინათ თავის თავზე არ მუშაობდნენ და ახლა პოლიტსკოლების დამკვრელები არიან ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის პარტორგანიზაციის წევრები: ამხ. ხუციშვილი, ... მალლაკელიძე, ... დორე გელაშვილი და სხვები.

ამხ. სამხარაძემ შეისწავლა პარტისტორიის ძირითადი მომენტები, სწავლობს ამხ. ბერიას მოხსენებას—ა.-კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ...

...

მცალია მეცადინეობისათვის, ვერ ვსწავლობ. მაგრამ პარტდოკუმენტების შემოწმებამ გამოარკვია და დამარწმუნა, რომ მეცადინეობისათვისაც მცალია და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაც შემიძლია.

— ასე ძლიერად პასუხისმგებლობა არასოდეს არ მიგრძვნია ჩემი ცოდნის ამაღლების საქმეში, როგორც ეს ვიგრძენი ჩემი პარტდოკუმენტის შემოწმების დროს".

ამას ამბობს ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის პარტორგანიზაციის წევ-

...

ბამ მოგვცა.

ხარაიონო გაზეთებმა უდიდესი ყურადღებით უნდა შეისწავლონ პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგები, სისტემატურად და თანმიმდევრობით უნდა გააშუქონ პარტიული მუშაობა ცალკე პარტორგანიზაციებში, საამქროებსა და რგოლებში, ასწავლონ და დაეხმარონ პარტორგანიზაციის სუსტ პარტორგებს, რომ მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე „პარტიული მუშაობა აიყვანონ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის დონემდე".

პარტიული მეურნეობა

შემოწმების შედეგები ტყიბულის რაიონში

ეხლა, როცა ჯამს ვუკეთებთ პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგებს, ჩვენს თვალწინ ნათლად მოსჩანს თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის სრული სახე, გონებაში აღბეჭდილია თვითეული პარტიული, რომელმაც პარტშემოწმება გაიარა. ახლა რაიკომმა იცის ყოველი წევრის და კანდიდატის არა მარტო სახელი და გვარი, არამედ იცის მისი პოლიტიკური მომზადების დონეც, საქმიანობაც, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებაც და ბრძოლის უნარიც.

პარტდოკუმენტების შემოწმებამ საშუალება მოგვცა ჩვენი რიგებიდან გაგვეძევებინა ყველა არამზადა და უღირსი ელემენტი, რომლებიც შვადასხვა დროს შენიღბული შემოპარულან პარტიაში გაიძვერული, ქულაკური მოსაზრებებით.

მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს, თუ როგორ ახერხებდნენ არამზადები და ქუ-

...

გასამგზავრებლად, მაგრამ უბრალო შემთხვევამ (ცხენმა ფეხი მოიტეხა), შეუშალა ხელი მონაწილეობა მიეღო ოსეთის მშრომელთა დარბევაში. განკურნებისთანავე ის კვლავ მენშევიკების გვარდიის რიგებშია, ბორჩალოს მაზრაში.

ამყოლაძე პარტიაში 1928 წელს შემოიპარა. 1929 წლის წმენდა ... ნებლად გაიარა. 1930 ... ხეს პარტიიდან, მაგრამ ... თავის აღდგენა. ტყიბულ... ში მას რამდენიმე საპა... თანამდებობა ეჭირა.

...

დაიჭირა. 1929 წელს ... მოიტანა დანიშვნის ქაღალდი და შემოწმებამდის ითვლებოდა ქვანახშირის ტრესტის სპეცგანყოფილების გამგედ.

პარტიიდან გაძევებულია აგრეთვე ათანასე ამყოლაძე (რაიონმასკომის პირველადი პარტორგანიზაცია), რომელმაც დაფარა თავისი ბნელი წარსული და მოახერხა პარტიაში შეძრომა. ამყოლაძე მენშევიკების გვარდიაში ყოფნის დროს ემზადებოდა ოსეთის ცნობილ ფრონტზე

...

გიერთი ამხანაგი ვერ ერკვევა ელემენტარულ საკითხებში.

პროპაგანდისტები დარახველიძე, ია შვილი (ჯვარისა), ჯმუხაძე (მაღაროების საამშენებლო) თვითონ ვერ ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში. ისინი შეცვლილ იქნენ უფრო მომზადებული ამხანაგებით.

...

ხარ. ჯინჭარაძე.

საქ. კ.პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი

შაქრის ჭარხლის აღების პირველი გაკვეთილები

მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 483.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო აგარის საბჭოთა მეურნეობამ — 59.250 ცენტნერი. ჭარხლის ეს რაოდენობა სავსებით უზრუნველყოფს ამხ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანას.

შაქრის ჭარხლის ამომთხრელი მანქანა.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა 15 სექტემბრიდან დაიწყეს ჭარხლის ამოღება. მიუხედავად წლევანდელი გვალვიანობისა, ჭარხლის მოსავალი გასულ წელთან შედარებით ბევრად უფრო მეტი იქნება. მაგალითად: გორის რაიონის სოფ. შავშვების კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 130 ცენტნერი, ხოლო ნაწრეტის კოლმეურნეობამ — 160 ცენტნერი.

წელს, პირველად საქართველოში, დადებითად არის გადაჭრილი ჭარხლის მექანიზებულად აღების საქმე. ამჟამად კოლმეურნეობებში მუშაობს 14 სამთათიანი ჭარხლისმთხრელი, რომელსაც ეწევა ტრაქტორი უნივერსალი. ჭარხლისმთხრელების ნაყოფიერება დღიურად აღწევს 4,5—5—6 ჰექტარამდე, ნაცვლად დაწესებული 2,2 ჰექტარისა. ერთმა ჭარხლისმთხრელმა მოხისის კოლმეურნეობაში (აგარის მტს) 8 დღეში 50 ჰექტარი ჭარხალი ამოიღო. ჭარხლისმთხრელის სეზონური დატვირთვა 75 ჰექტარი, დაწესებული საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ.(ბ) ც. კ. მიერ, აგარის მტს-ში

...

ბის გამომუშავების ნორმები, ჭარხლის გასუფთავებას ჯგუფურად აწარმოებენ და შემდეგ ყველაზე თანაბრად ჰყოფენ შრომადღეებს.

განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა ჭარხლის გადაზიდვის საქმეში. 1 ოქტომბრისათვის გორის რაიონის კოლმეურნეობებში ამოღებული იყო ჭარხალი 218 ჰექტარზე, ხოლო ჩაბარებული იყო მიმღებ პუნქტზე 12261 ცენტნერი ჭარხალი, ე. ი. საშუალოდ 56,2 ცენტნერი ჰექტარზე. ერთპიროვნულ მეურნეობებში ამოღებული იყო ჭარხალი 84 ჰექტარზე, ხოლო ჩაბარებული 3.011 ცენტნერი, ე. ი. საშუალოდ 35,8 ცენტნერი ჭარხალი ჰექტარიდან. ნამდვილად ჭარხლის მოსავალი გორის რაიონში ერთიორად უფრო მეტია. მაშასადამე, ნახევარზე მეტი ამოღებული ჭარხლისა მინდვრად ჰყრია და არ არის გამოზიდული რკ. გზ. პუნქტებში.

სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მ. ტ. ს.-ის და კავშირტრანსის ავტომანქანები. მათ არა აქვთ მტკიცე გეგმა, — მარშრუტი. ავტომანქანების დატვირთვა და გამოტვირთვა ...

...

ჭარხლის გასუფთავებას, ამის გამო 2—3 დღის განმავლობაში მინდვრად ჰყრია ამოღებული გაუსუფთავებელი ჭარხალი. ამავე დროს არცერთ რაიონში არ არის გამოყენებული ჭარხლის გამსუფთავებელი მანქანა „სტოროჟკა", რომელიც ერთიორად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. კოლმეურნეებმა არ იციან ჭარხლის გასუფთავე-

...

გასუფთავება.

შაქრის ჭარხლის ამოღების მექანიზაციის შემდეგ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამოღებულ ჭარხლის იმავე დღეს გასუფთავებას და გადაზიდვას. უდიდესი გარღვევა ამჟამად სწორედ აქაა. ქვენატკოცის, მოხისისა, შავშვებისა და პატ. ხურვალეთის კოლმეურნეობებში ჭარხლის გასუფთავებისათვის არ არის გამოყენებული კოლმეურნეობის მთელი თავისუფალი მუშახელი. კოლმეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი ჭარხლის სუფთა დანებით. ჭარხალს ჯიბის დანებით ასუფთავებენ, აგრეთვე ნამგლებითა და ცელის ნატეხებით, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. კოლმეურნეები ვერ ასწრებენ ამოღებუ-

...

რიულება კავშირტრანსთან კოლმეურნეობებიდან ჭარხლის გადმოზიდვისათვის, თანახმად საქ. სახკომსაბჭოს 14 სექტემბრის დადგენილებისა.

შაქრის ჭარხლის უდანაკარგოდ აღებისა და გადაზიდვისათვის ბრძოლა — მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაა. მაგრამ საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის დადგენილება მოსავლის აღებისა და სას.-სამ. პროდუქტების დამზადებათა შესახებ მთელი სერიოზულობით ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ჭარხლის რაიონის სამეურნეო ორგანოების ზევრ მუშაკს. საჭიროა ამ საკითხზე მათი ყურადღების გამახვილება.

აგრ. გრ. ბადრიშვილი.

□ □ □

როგორ ეპყრობიან ჩვენს წერილებს ქუთაისში

(„კომუნისტის" კორესპონდენტთა რეიდი)

უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში „კომუნისტის" რედაქციამ ...

...

არც შემდეგ ინებეს ბოროტმომქმედთა შეწონება.

...

დოც. დ. კარბელაშვილი □ □ □ □

სალიტერატურო ქართულისათვის*)

ჩვენს სინამდვილეში გამალებული მუშაობა მიმდინარეობს კულტურული რევოლუციის საკითხებზე. მისი ტემპის სისწრაფეს მუდამ მოძრაობასა და განვითარებაში მყოფი ჩვენი სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს.

...

უფრო მეტიც: გაბატონებული კლასი ენას თავისი კლასობრივი ინტერესების განსახორციელებლად იყენებს, ის ხელოვნურად, შეგნებულად ქმნის დაბრკოლებებს ენაში და სათუთად ინახავს უკვე შექმნილს: ორთოგრაფიაში, წერაში და სხვ., რათა ერთგვარი პატივისცემა, რიდი ...

...

ტეტის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ, იხ. „კომუნისტი", 1931 წ. 28/XI, № 272, „ქართული ტერმინოლოგიის სისწორისათვის").

აქვე ისახება სალიტ. ენის ჩამოყალიბების მეორე კრიტერიუმი, ესაა სალიტ. ენისა და ცოცხალი კილოების ურთიერთობა. არ არის არც ერთი სალიტ. ენა, რომელიც ხალხური, მასობრივი მეტყველების ნიადაგზე არ აღმოცენებულიყოს, საფუძვლად ხალხური განსაზღვრული კილო არ დასდებოდეს. ამის საილუსტრაციოდ ...

...

(იგულისხმება საქართველოს კულტურული ცენტრები და ... ლი მუშაობა ენის სიწმინდის ... რე მხრით—საერთ მწერალ... ნიადაგზე დაშორდა იგი ... წყაროს, მაგრამ შემდგომ ... უფრო ზუსტად, აღორძინებ... რლების ხელში, იგი ისევ თავის პირველწყაროს, კახურ კილოს, ჯერ ... გურამიშვილი კი საგრძნობ... რებს მას სოფლური მეტყ... „ძაცვია მწყემსი"). მე-19 ს...

...

Переписка—пер., восприятие—..., ... ореол—..., ... современный—..., ... разложение—...

...

*) ...

უკრაინელი მწერლები ტფილისში

მწერლები ამხ. გ. მდივანთან

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. მდივანმა გუშინ, 8 ოქტომბერს მიიღო უკრაინელი მწერლები — ამხ. ხენჩენკო, ბაჟანი და კორნეიჩუკი. უკრაინელ მწერლებს ახლდნენ სიმონ ჩიქოვანი, პ. იაშვილი, კ. ლორთქიფანიძე და დ. დემეტრაძე.

უკრაინელი სტუმრები ამხ. გ. მდივანს ესაუბრნენ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ საინტერესო საკითხებზე.

ამხ. მდივანმა სტუმრებს ვრცლად გააცნო მრეწველობის განვითარების და ელექტროფიკაციის გრანდიოზული გეგმები, რომლებიც უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს.

საუბარი გაგრძელდა 2 საათს.

მიკოლა ბაჟანის შემოქმედებითი საღამო

7 ოქტომბერს მწერალთა სახახლეში გაიმართა ცნობილი უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის შემოქმედებითი საღამო. აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა უკრაინელ სტუმრებს.

დ. დემეტრაძის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ბაჟანის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ხენჩენკო.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაზე.

აქტიურად მუშაობს უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი თავმჯდომარე პოეტი კულიკი. მან გამოაქვეყნა ლექსების წიგნი ამხ. შჩორსზე.

ვ. სოსიურას შემოქმედება მთელი რიგი წლების განმავლობაში ხასიათდებოდა ჩავარდნებით. ამჟამად ის იწყებს გადახალისებას თარგმნის ლერმონტოვს უკრაინულ ენაზე. გამოაქვეყნა ლირიკული ლექსები, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობს.

ამ მოწინავე უკრაინელ პოეტებს შორის ერთერთი უპირველესი ადგილი მიკოლა ბაჟანს უჭირავს. რთული და შინაარსიანია მისი

მიკოლა ბაჟანი

ლიტერატურული გზა. პირველი ლექსი ბაჟანმა დასწერა წითელარმიელზე. სავსე რევოლუციური პათოსით და აღმაფრენით. მოსალოდნელი იყო, რომ პოეტი გააგრძელებდა თავდაპირველად არჩეულ სწორ გზას, მაგრამ შემდეგ პერიოდში მან განიცადა ერთგვარი ყოყმანი, ის ისევ ჩქარა ერკვევა. პოეტი იძლევა ახალ ლექსებს, სადაც გატაცებით დგება საბჭოთა პოზიციებზე. უკანასკნელად მან დასწერა შესანიშნავი პოემა „კიროვი“, ამჟამად სთარგმნის უკრაინულ ენაზე რუსთაველის უკვდავ ქმნილებას „ვეფხვის ტყაოსანს“.

— გერმანიის და პოლონეთის ფაშისტები ოცნებობენ უკრაინა გადააქციონ თავიანთ კოლონიად. ცხადია, ისინი ამას ფარავენ „უკრაინის განთავისუფლების“ ლოზუნგით. ინტერვენტების აგენტურის როლს უკრაინაში ასრულებენ ჩვენი კლასობრივი მტრების ნამსხვრევები. ნაციონალისტური ლაყბობით, მათ სურთ გაიტყუონ მასები. უკრაინის მშრომელებმა სათანადო მუჯლუგუნი დაჰკრეს ამ გამოღვიძებულ სოციალ-ფაშისტურ გამცემლებს. არ შეიძლებოდა ამ მდგომარეობას გამოხატულება არ ჰქონოდა ლიტერატურაში. მწერლობის უმრავლესობა, ჯანსაღმა ნაწილმა საბოლოოდ გადაწყვიტა დაიჭიროს მშრომელთა მხარეზე. მიკოლა ბაჟანი მწერალთა ამ ჯგუფს ეკუთვნის.

— როდესაც ვლაპარაკობთ უკრაინის საბჭოთა პოეზიაზე, არ შეიძლება არ დავასახელოთ პოეტი პავლე ტიჩინა, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს უკრაინის რესპუბლიკის ფარგლებს გარეშეც. უკანასკნელად მან მოგვცა შესანიშნავი წიგნი „პარტია ვედე“, მიმართული ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ტიჩინა აქტიურად მუშაობს ქართულ პოეზიის თარგმნაზე.

ასევე მოწინავე პოეტად ითვლება, კომკავშირული თაობის შესანიშნავი მწერალი პერვომაისკი.

ეხსენკომ, რომელიც წინა სამ-ოთხი წლის განმავლობაში სდუმდა, მოგვცა მშვენიერი, ფორმის მხრივ გამართული, იდეოლოგიურად მისაღები ლექსები.

ბაჟანის პოეზია ხასიათდება ღრმა ფილოსოფიური შინაარსით და მაღალი ტექნიკური ფორმით. უკრაინული ლექსი მან აიყვანა კლასიკურ სიმაღლემდე. მთელი რიგი მისი შესანიშნავი მხატვრული სახეები, ტქმები, აფორიზმები საბჭოთა უკრაინის ლიტერატურის შედევრებად ითვლება.

ამხ. ხენჩენკოს მოხსენებით დამთავრდა შემოქმედებითი საღამოს პირველი ნაწილი. შემდეგ პოეტმა ბაჟანმა წაიკითხა „ვეფხვის ტყაოსნის“ პროლოგის შესანიშნავი თარგმანი უკრაინულ ენაზე, წაიკითხა აგრეთვე საკუთარი ლექსებიც. აუდიტორიამ მას მხურვალე ოვაციები გაუმართა.

ქართველი პოეტები: სიმონ ჩიქოვანი, ჭ. ლომიძე, მ. პატარიძე, ილო მოსაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი, კითხულობენ ბაჟანის ლექსების და პოემების ქართულ თარგმანებს. ამის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პოეტები ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი.

სხდომა ღამის პირველ საათამდის გაგრძელდა. მთელი აუდიტორია ფეხზე ადგება მისალმა მოძმე რესპუბლიკის მოწინავე პოეტს. ისმოდა შეძახილი:

„გაუმარჯოს უკრაინის და საქართველოს კულტურულ თანამშრომლობას“!

„გაუმარჯოს დიდ სტალინს“!

★

დასასრულ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) უკრაინის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ამხ. კოსიორს და პოსტიშევს.

მეგობრული შარჟი

□ □ □

„მხატვრობა საფრანგეთსა და საქართველოში“

პიერ ვორმსის მოხსენება

8 ოქტომბერს საქართველოს სამხატვრო გალერეის დარბაზში გაიმართა ცნობილი ფრანგი კრიტიკოსის, ბიეს სამხატვრო გალერეის დირექტორის — პიერ ვორმსის მოხსენება, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს მხატვრები, მოქანდაკეები და სახვითი ხელოვნების სხვა მუშაკები. მოხსენების თემა იყო — მხატვრობა საფრანგეთსა და საქართველოში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მხატვრული კულტურა, როგორც საფრანგეთში, ისე საქართველოში ვითარდებოდა ერთმანეთის მსგავსი გზებით. თქვენში უმთავრესად სპარსული და ელინური კულტურის გავლენა, შემდეგ კი თავი იჩინა ქართულმა კოლორიტმაო.

თავის მოხსენების ბოლო ნაწილში ვორმსი შეჩერდა თანამედროვე მხატვრული შემოქმედების საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მეავს ბევრი გამოჩენილი ოსტატი, რომელთაც კარგად იცნობენ საფრანგეთში. საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირში ახლა მხატვრებს დიდი შემოქმედებითი გახაქანი აქვთ. არსად, არც ერთ ქვეყანაში არა აქვთ ასეთი დიდი სარბიელი მხატვრებს. უმუშევრობასა და ეკონომიურ დეპრესიას ევროპის ქვეყნებში მოსდევს შემოქმედებითი კრიზისი. მეტად საინტერესოა უცხოელებისათვის ის შემოქმედებითი მეთოდი, რომელსაც აქ სოციალისტურ რეალიზმს ეძახიან. აქაურ მხატვრებს საქმე აქვთ რთულ და საინტერესო რეალობასთან, რომელშიაც მოცემულია ხვალინდელი დღის თვალწარმტაცი პერსპექტივა. ჩვენში, უმუშევრობამ და ლუმპ-პურის ძებნამ დაჩრდილა რეალობა, რომელსაც ფრანგი მხატვარი აღარ ეძიებს, ამიტომ ჩვენი მხატვრებისათვის თემა და სიუჟეტი არ არსებობს.

მაგრამ ტექნიკა და მასალის დაუფლების ხერხი საფრანგეთის მხატვრებს უკეთესი აქვთ და ამ მხრივ საჭირო იქნება მათი გამოცდილების გადმოტანა.

— ტფილისში ყოფნისას მე გავეცანი საქართველოს მხატვრების ნამუშევარს. დარწმუნდი, რომ მხატვრული კულტურა საქართველოში სწრაფი განვითარების გზაზეა დამდგარი და ამ მხრივ ევროპა მალე ძალიან ჩამორჩება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს. მოდიან ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრები, მათი შესანიშნავი ნაწარმოებნი ჩვენ გვიმტკიცებენ ხვალინდელობის მომხიბვლელობას, თვალწინ გვიშლიან ბედნიერი ცხოვრების საუცხოო პერსპექტივებს.

მომხსენებელს ვორმსს დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა.

□ □ □

ტფილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

ლითოგრაფიის მუშა ამომრჩევლების კრებაზე

ტფილისის საბჭოს საანგარიშო კრებაზე ლითოგრაფიის მუშა ამომრჩევლები გამოუკლებლივ დაესწრნენ. ყურადღებით მოისმინეს ტფილისის საბჭოს დეპუტატის ამხ. გრ. ჩიქოვანის მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსულნი ერთხმად აღნიშნავდნენ ტფილისის საბჭოს მუშაობას და მოუწოდებდნენ თავიანთ დეპუტატებს კიდევ უფრო აქტიურად იმუშაონ საბჭოში.

— ჩვენმა დეპუტატებმა თაოსნობა უნდა გამოიჩინონ საბჭოშიო, — ამბობდნენ მუშა - ამომრჩევლები. საბარათო სისტემის გაუქმებისა და პროდუქტებზე ფასების დაკლების შემდეგ, დეპუტატებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ მაღაზიებში განხორციელდეს ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობა. შეამოწმონ მაღაზიების მუშაობა. შეამოწმონ თვითოეული ნოქარი და საბჭოში დასვან საკითხი შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

აღნიშნულ კრებაზე ლითოგრაფიის მუშებმა შემოიტანეს 7 პრაქტიკული ხასიათის წინადადება, რომელთა განხორციელება დეპუტატებს დაევალა.

□ □ □

ჩვენ გვწერენ

პურის წერტი ცუდათ მუშაობს

ქოგვში ჯერ კიდევ სამი თვის წინეთ გაიხსნა პურის საცხობი და გამყიდავი პუნქტი (მცხეთის კოოპერაციის გამგეობისა). თუმცა ამ პუნქტს ხალხისათვის დღემდე მომსახურეობა არ გაუწევია ისე, როგორც მათ კმაყოფილებით ეყიდნათ პური არის შემთხვევები, როცა საცხობს არა აქვს ფქვილი, შეშა და სხვა.

ეს კიდევ არაფერი; ძალიან ხშირად პურის გამყიდველი სულ არ არის სავაჭრო წერტში. მაგალითად 27 სექტემბერს პურის გამყიდველი კატია ოქრუაშვილი მცხეთაში იყო და კამოც მთელი ქოგვის მოსახლეობა უპუროთ დარჩა დღის პირველ საათამდის (გამომცხვარი პური კი ეწყო).

მხოლოდ საღამოს პურის გამყიდველი კატია ოქრუაშვილი თავს იმართლებდა იმით, რომ „გამგეობამ მე დღეს გამომიძახა მცხეთაში და იქ ვიყავიო“.

ასეთი შემთხვევები ერთი და ორი არ არის. ეს კი იწვევს მშრომელი გლეხობისა და ქარხნის მუშების სამართლიან უკმაყოფილებას.

ვეკითხებით მცხეთის კოოპერაციის გამგეობას, როდემდის გაგრძელდება ასეთი უმსგავსოება?

დავით რთველაშვილი.

რთველი

ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან თელავის რაიონში მასობრივად დაიწყო ყურძნის კრეფა. მიუხედავად იმისა, რომ ვენახები წელს ყინვისაგან დაზრა, მოსავლის გამოსავალი შარშანდელთან შედარებით უკეთესია.

წინანდლის და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობები ამ დღეებში დაამთავრებენ რთველს. კოლმეურნეობები და მშრომელი ერთპიროვნული გლეხები ყურძნის კრეფისთანავე იხდიან კონტრაქტაციით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

მოსწავლეთა დასვენება გამოსასვლელ დღეს ტფილისის ბოტანიკურ ბაღში. სურათზე: საამშენებლო-არქიტექტურული კურსების სტუდენტთა ჯგუფი უსმენს პატეფონს.

13 სახლი

ტფილისის საბინაო კოოპერაციის სამმართველოში მიღებული ცნობებით წელს ქალაქში შენდება და პირველ იანვრამდე დამთავრდება 13 ახალი დიდი საცხოვრებელი სახლის აგება.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით აღნიშნული სახლების მშენებლობა საბინაო - კოოპერაციამ უნდა დაამთავროს 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე. მობინადრეებს ახალ სახლებში გაზაფხულზე ჩაასახლებენ.

სამხრეთ-ოსეთის მწერალთა ნაწარმოებნი ქართულად

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა ქართულად გამოცემის საკითხის მოსაგვარებლად ტფილისში ჩამოვიდა სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ ჩერმენ ბეგიზოვი (ბეგიზოვი).

გათვალისწინებულია ორი კრებულის — ოსური პოეზიისა და პროზის გამოცემა. პოეზიის კრებულში შევა ხადო პლიევის, კაზბეკ კოროევის, ნინო გალუაშნონის, ნიგერის და სხვ. ნაწარმოებნი, ხოლო პროზის კრებულში — ნოველისტების: ს. კულაევის, კუზაკ ჯუსტის, რომანისტისა და დრამატურგის ჩერმენ ბეგიზატის და სხვ. ნაწარმოებნი.

ოსეთის საბჭოთა მწერლების პროზაულ ნაწარმოებებს გადათარგმნის მწერალი დ. კასრაძე, ხოლო ლექსებს გადათარგმნიან პოეტები: გ. ტაბიძე, ი. ვაკელი, ვ. გაფრინდაშვილი და ტ. ტაბიძე. კრებულებს გამოსცემს სახელგამი.

ა.-კ. სახ. გამომცემლობა რუსულ ენაზე გამოსაცემად ამზადებს კრებულს — „ლაპარაკობენ კოშკები“. კრებულში შეტანილი იქნება ჩერმენ ბეგიზატის 9 ნოველა, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი თემით — სამხრეთ-ოსეთის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის და ყოფაცხოვრების ასახვა მე-18 და მე-19 საუკუნის დასაწყისში.

□

საბინაო ფონდის ინვენტარიზაცია

ჯერჯერობით გამოურკვეველი და შეუსწავლელია — ტფილისში არსებული საბინაო ფართობის რა რაოდენობაა უვარგისი საცხოვრებლად და რა რაოდენობა გარგისი, ან რომელ რაიონში რა სახის, სარემონტო სამუშაოებია საჭირო საბინაო ფონდის აღსადგენად.

ამ საკითხების გამოსარკვევად ტფილისის საბჭომ დადგენილება მიიღო საბინაო ფონდის ინვენტარიზაციის (აღწერის) ჩატარების შესახებ. ინვენტარიზაცია უნდა დამთავრდეს 1936 წლის 1 კვარტალში, რომ გამორკვეული მდგომარეობის მიხედვით გაიშალოს საბინაო ფონდის აღსადგენი სარემონტო სამუშაოები. საბინაო ფონდის ინვენტარიზაცია უნდა ჩაატარონ რაისაბჭოებთან გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიებმა.

□

ტფილისის ზოოპარკი. სურათზე: აფრიკის ლომი „პრინცი“ ზოოპარკში

□

ახალი შენობები

სამეცნიერო აკადემიის საქ. ფილიალისა და მისი ინსტიტუტები სათვის

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალისა და მისი ინსტიტუტების სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციებისათვის აიგება საკუთარი შენობები. სულ გათვალისწინებულია ოთხი კორპუსის აგება: ერთი — ფილიალის პრეზიდიუმისა და კავკასიის მცოდნეობის, ზოოლოგიური, მათემატიკური და გეოფიზიკური ინსტიტუტებისათვის; მეორე სპეციალურად ქიმიური ინსტიტუტისათვის, მესამე — ბოტანიკური და ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტებისათვის და მეოთხე — ქვევის შემსწავლელი ინსტიტუტისა და ზოოლოგიური სექტორისათვის.

ამ შენობების აგება დაიწყება მომავალ წლიდან. პირველი კორპუსი მზად იქნება 1936 წლის დასაწყისში. მისი აგება დაჯდება 2 მილიონ მანეთად.

ხელოვნება

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრის დასი შედგენილია. უკვე ჩამოვიდნენ სხვა ქალაქებიდან მოწვეული მსახიობები. თეატრის კოლექტივს გაშლილი აქვს მუშაობა სეზონის დასაწყებად.

რეჟისორი ა. ი. რუბინი მუშაობს გრიბოედოვის პიესის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმაზე. პიესას მხატვრულად გააფორმებს მხატვარი სისუნოვი. ამ პიესით გაიხსნება სეზონი.

რეჟისორი ა. ბ. სმირნოვი მხატვარ გ. ვოლჩინსკისთან ერთად ამზადებს ფრანგულიდან ნათარგმნ ჟან დევალის პიესას „ბრძოლა სიცოცხლისათვის“.

სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ამჟამად ტფილისში მყოფ უკრაინის დრამატურგის ალ. კორნეიჩუკის პიესის — „პლატონ კრეჩეტის“, აგრეთვე ოსტროვსკის პიესის — „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ დასადგმელად. განახლებული იქნება ნ. პოგოდინის პიესის — „არისტოკრატების“ დადგმა.

თეატრმა დასადგმელად მიიღო დრამატურგ ა. ნ. აფინოგენოვის ახალი პიესა — „შორეული“, აგრეთვე დრამატურგ შანშიაშვილის პიესა „არსენა“.

თეატრის გადაკეთებისა და რემონტისათვის მთელი კაპიტალური სამუშაოები დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს მეხობის შეღებვა და მოწყობა. თეატრის შენობა — 26 კომუნარის ქარხანა აწყობს სცენის მბრუნავ წრეს. თეატრის ყველა სამკერვალო — საკოსტუმერო, ბუტაფორიის, საპარიკმახერო, ელექტრო-განათების და სხ. უკვე გადავიდა ახალ შენობაში.

□

ახალი წიგნები

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები: ავტორთა კოლექტივი — ვარსმერგისა და ბ. რედაქციით ეკონომ-პოლიტიკის ეტიუდები, მე-2 ნაწილი.

პრ. ბრეგენსკი — წინაკაპიტალისტური ფორმაციების ეკონომიკა.

ა. ამირანაშვილი — ახალი აღმოჩენა მცხეთის ქვემო წელთან (რუსულად).

გ. წერეთელი — არაბული ქრესტომათია.

მამაში და ძერცოვიჩი — სტატისტიკური აღრიცხვა სოციალისტურ მრეწველობაში.

პროფ. უზნაძის რედაქციით — დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი.

დაბეჭდილია და მალე გამოვა:

არნ. ჩიქობავა — ენათმეცნიერების შესავალი.

არჩ. გოკიელი — ლენინი და სტალინი ფინანსების შესახებ.

□

შემთხვევები

ქურდების შეპყრობა. გაქურდეს მოქ. დ. კაქკაბიშვილის ბინა (მუშტაიდის შესახ. 8), საიდანაც მოიპარეს 3 ათასი მანეთის სხვადასხვა ნივთი. ქურდები ი. ა. გალუსტოვი (პლეხანოვის პროსპ. 182) და ზ. გ. ალიბარაშვილი (პლეხანოვის პრ. 197) შეიპყრეს.

გაუფრთხილებელი ხელა. ლერმონტოვის ქუჩაზე მე-7 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ი. ი. ქარელიშვილი) დაეჯახა უცნობ ქალს და მძიმედ დააშავა. დაზარალებული მოათავსეს საავადმყოფოში. მისი ვინაობა ირკვევა. ვატმანი პასუხისგებაშია აძლევენ.

ხანძარი. კიროვის სახელობის მექანიკური ქარხნის შენობაში (ბებელის მოედანი) პოლიტექნიკური შრომის პედტექნიკუმის სასწავლო-სადურგლო სამქროში გაჩნდა ხანძარი, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სამქროს. ხანძრის გაჩენის მიზეზებს არკვევენ.

□

პარტკალენდარი

საქართველოს პარტიული კონტროლის კომისიის პარტიული კოლეგია წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის შენობაში, პირველი სართული, ოთახი № 20.

ბოკერია ილ. საბ. პოლიტსამმართველოს ყოფილი მუშაკი. მიქელაძე მიხეილ იოსების-ძე, ბობოხიძე პეტრე პეტრეს-ძე, ჯაჯანიძე გრიგოლ იოსების-ძე.

□

საკოლმეურნეო ბაზრობის წინ

შექმნილია ტფილისის საბაზრო კომიტეტი

ტფილისის სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობის ხელმძღვანელებისათვის შეიქმნა საბაზრო კომიტეტი ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნიორაძის თავმჯდომარეობით. ეწყობა საბაზრო კომიტეტები დახურული ცენტრალური და დესიმონოვის ბაზრებისათვის, სადაც იწარმოებს საბაზრო ვაჭრობა.

5 ოქტომბერს შესდგა ტფილისის მოვაჭრე ორგანიზაციების თათბირი სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობისა და ოქტომბრის წინა ბაზრობაში მონაწილეობის საკითხზე.

ტფილისის ბაზრობისათვის ვაჭრობის გეგმით მიღებულ იქნა 2.300 ათასი მანეთი, ხოლო ოქტომბრის წინა ბაზრობებისათვის — 15.400 ათასი მანეთი.

ტფილისის ბაზრობაზე გამოვლენ: ტფილისის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ალბულაღ - მანგლისის, დუშეთის, თიანეთის და წალკის რაიონების კოლმეურნეობები.

საბაზრო კომიტეტი რაიონებში გზავნის თავის რწმუნებულებს კოლმეურნეთა ორგანიზებული გასვლისათვის ბაზრობაზე.

ბაზრობის გახსნისათვის დესიმონოვის, ცენტრალურ და დახურულ ბაზრებზე აიგება ახალი სავაჭრო წერტები და მოეწყობა საერთო საცხოვრებლები ჩამოსულ კოლმეურნეთათვის. ჩამოსულ კოლმეურნეთათვის ყველა ბაზარში გაიხსნება შემნახველი სალაროები, ხოლო დახურულ ბაზარში იხსნება ქალაქის სადგურის განყოფილება რკინიგზის ბილეთების გასასყიდად.

□ □ □

ქალაქის ვაჭრობა

ხორც-ბოსტნეულის ახალი მაღაზია

ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირმა პირველი ოქტომბრიდან საპროდუქტო მაღაზიებთან გახსნა ხორცის 6 განყოფილება. ეს მაღაზიები უმთავრესად განაპირა უბნებშია მოთავსებული.

6 ოქტომბერს ტ. ს. ო. კ.-მა ლერმონტოვის ქუჩაზე, № 22, გახსნა ხორც - ბოსტნეულის სპეციალიზებული მაღაზია. მაღაზიის თვიური საქონელბრუნვა დაგეგმილია 36 ათასი მანეთით. აქ იყიდება ყველა ხარისხის ხორცი, აგრეთვე ყოველგვარი ხილი და ბოსტნეული.

ახალი სავაჭროები ქუთაისში

ქუთაისი. ქუთაისში იხსნება ხორცის ახალი სავაჭროები და სპეციალიზებული საპროდუქტო მაღაზიები ქალაქის კოოპერატივი ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარზე ხსნის თევზის მაღაზიას. „სოიუზმიასოს“ ქუთაისის განყოფილება ხსნის ხორცის 2 ახალ საიაჭროს.

4 ოქტომბერს გაიხსნა ხელახლა მოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარი ნიკოლაძის ქუჩაზე. ბაზარში სანიმუშო წესრიგია. ბაზრის მთელი მოედანი მოასფალტებულია. აგებულია 18 ახალი მაღაზია.

□ □ □

სპეციალისტების ახლად აგებული სახლი საბურთალოში.

აზოტის სასუქის კომბინატი

საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქიმიური მრეწველობის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა საპროექტო დავალება ქუთაისის რაიონში (სადგური ბროწეულა) ტყიბულის და ტყვარჩელის გაუხშებული ქვანახშირის ბაზაზე აზოტის სასუქის კომბინატის მშენებლობის შესახებ.

„გიპროაზოტმა“ მოსკოვში უკვე დაამუშავა კომბინატის მშენებლობის ტექნიკური პროექტი.

კომბინატის მშენებლობა დაიწყება 1936 წლის დასაწყისში და დამთავრდება 1938 წელს.

კომბინატის ღირებულება უდრის 84 მილიონ მანეთს, მისი სიმძლავრე — 270 ათასი ტონა კოქსი, წელიწადში და 65 ათასი ტონა ამიაკის გვარჯილა.

კომბინატის დანიშნულებაა ამიერკავკასიის ტექნიკური და მარცვლეული კულტურების ფართობების მომარაგება აზოტის სასუქით.

□

ხიდი ჭოროხზე

ბათომი, 4 ოქტომბერი. აჭარისტანის ყველაზე ჩქარ და მშფოთვარე მდინარეზე აგებს კიდული ხიდი. სამი გვარლით. ეს პირველი ხიდია ჭოროხზე.

ახლა შეიძლება ჭოროხის მარცხენა ნაპირას მდებარე მთელ რიგ სოფლებთან რეგულარული მიმოსვლის დამყარება. ეს სოფლები წინათ, მდინარის ადიდების დროს. სრულიად მოსწყვეტილნი ხოლმე ცენტრს. (ადს).

□

პირველხარისხოვანი სასტუმროები

ტფილისის საბჭო აწარმოებს ორი სასტუმროს — „პალასის“ და „ევროპის“ შეკეთებას, რომელიც 15 ოქტომბერს დამთავრდება.

სადგურის მოედანზე წარმოებს აგრეთვე ერთერთი შენობის კაპიტალური შეკეთება, რომელიც გადაკეთდება პირველხარისხოვან სასტუმროდ 70 ნომრით. სასტუმრო გაიხსნება მიმდინარე წლის დამლევს.

□

3 ათასი მანეთი მოიგეს

ორჯონიკიძის რაიონის შემნახველ სალაროში შემოვიდა სამი ობლიგაცია, რომლებსაც „მეორე ხუთწლედის სესხის“ მოგებათა უკანასკნელი გათამაშების დროს ხვდათ სამ-სამი ათასი მანეთი მოგება.

1-დან 5 ოქტომბრამდი შემნახველმა სალარომ გასცა რამდენიმე ათას მანეთიანი მოგება. სულ განაღდებულია „მეორე ხუთწლედის სესხის“ ობლიგაციებისა — 63.762 მანეთის მოგება.

რედაქციის ტელეფონები:	
პ.-მგ. რედაქტორის	8—62—23
რედაქტორის მოადგილის	8—63—03
რედაქტორის მოადგილის	8—08—67
პ.-მგ. მდივნის	8—57—61
სამდივნოს	8—06—88
პარტმშენებლობის განყოფილების	8—57—61
სამრეწველო განყოფილების	8—78—40
მუშკორესპონდენტთა განყოფილების	8—78—24
სტამბის	8—27—04
გამომცემლობის	8—51—81

მიღების საათები: დღის 2 საათიდან 5 საათამდე და ხაღამის 8 საათიდან 10 საათამდე ყოველდღე.

რედაქცია ხელთნაწერებს ავტორებს არ უბრუნებს.

მისამართები: რედაქცია — რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 84.

რუსთაველის თეატრი

1935—36 წლ. სეზონი.

სეზონის დასაწყისის მოახლოვებასთან დაკავშირებით მუდმივი ადგილების შეძენა და აბონემენტების მიღების უკანასკნელ ვადად ცხადდება 20 ოქტომბერი.

ხელშეკრულებით შეძენილი მუდმივი ადგილების ბილეთების დარიგება დაიწყება 15 ოქტომბერს.

887 2-1 დირექცია.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი: მცირე სადგურის ალიახრული

დამკვრელი ახ. სახაფხ. 6-30, 8, 9 30, 11 — სახალ — ქ უ ე მ ს ი და მ ე ფ ე; სახაფხ — მხატვ ფილმი ა ლ ი მ ი

ფენქს სახალ 8-30, 10-30 — დასავლეთ ევროპის ფილმი — ი ე ტ ო პიტერი

რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 — უკანასკნელი დღეები ხმოვანი ფილმი: ბ ე დ ნ ი ე რ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი

ე მ ი გ ა ი (სახაფხ.) 7-2, 9, 10-30 — მხატვრ სურათი დიპშიკრიკის ჩანთა

„26“-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10 — ხმოვანი სურათი კ ე კ ო — სომხური ვარიანტი

კომინტერნის სახაფხ. ღიათეატრში 8-15, 10-15 — ხმოვანი ფილმი კ ი კ ო — სომხური ვარიანტი

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობის

სკამბა

ლებულობს მოწაფეებს

მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლიდან.

კირობები კაგება სტამბის ადმინისტრაციასთან — კამოს ქ. № 68.

საქ ს ს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ა წ 29 სექტემბრისა და ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის 31 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე 1935—36 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონში ელექტრო-ენერგიის ხარჯვის შემცირებელ ღონისძიებათა შესახებ

წყალდიდობის მთელი პერიოდისათვის

ა. წ. 10 ოქტომბრიდან შემოღებულია შემდეგი ღონისძიებანი, რაც სავალდებულოა ტელასის ყველა აბონენტისათვის რომელიც სარგებლობს ელენერგიით განათებლად და სხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის:

1. საცხოვრებელი სადგომებისა დაწესებულებებისა, სასწავლებლებისა სავაჭროებისა, ბანკებისა, საავადმყოფოებისა, რესტორნებისა, სასტუმროებისათვის, აბანოებისათვის და სხვ. მოხმარების ლიმიტი ზომად დაწესებულია ხამთრის თვეების მოხმარების 50 პროცენტი, ხოლო თეატრებისა, კინოებისა და კლუბებისათვის 70%.

შენიშვნა: ელენერგიის ხარჯვის შემცირებას აბონენტები შემდეგი ღონისძიებებით აღწევენ:

ა) ლამფების ნათურების ნაკლებძალოვნით შეცვლით.

ბ) ნათურების რაოდენობისა და მათი ანთების ხანგრძლივობის შემცირებით.

გ) გაზ ახურებელ ხელსაწყოებისათვის ელენერგიის გამოყენების შეწყვეტით.

2. ნორმის ზევით დახარჯულ ელენერგიაზე წესდება შემდეგი გადიდებული სატარიფო განაკვეთები:

ა) ერთიანად გადიდებული ნორმალური განაკვეთი — ბინებში მცხოვრებ აბონენტებისათვის.

ბ) ერთი ხუთად გადიდებული განაკვეთი ყველა სხვა აბონენტისათვის.

შენიშვნა: იმ აბონენტს, რომელიც ამ ლიმიტით დადგენილ ელენერგიას ნორმის ზევით სრულიად მოუსპეს ელენერგიის მიწოდება ელენერგიის დეფიციტის მთელ პერიოდში.

3. ზემოაღნიშნულ პერიოდში სასტიკად აკრძალულია გამოყენებულ იქნას

ა) სათბობი ელექტრო-ხელსაწყოები (ღუმელები, რომელთა ძალოვანებაც უნდა იყოს და ყოველივე სხვა ელექტროხელსაწყო, რომლის ძალოვნობაა აღემატება 600 ვატს.

ბ) ყოველგვარი სარეკლამო და დეკორაციული განათება როგორც სავაჭროებში, ისე თეატრებსა, კინოებსა, კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში.

შენიშვნა: სავაჭრო საწარმოთა ვიტრინების განათებისათვის ნებადართულია დაიწყოს იქვე ვიტრინები ათვის საერთო ძალოვნობით არა უმეტეს 100 ვატისა, ხოლო მცირე ვიტრინებისათვის — არა უმეტეს 50 ვატისა.

4. ყველა ის პირი და დაწესებულება, რომელსაც მოეპოვება ელექტრომოწყობილობები (ძალოვნობის გახურებისა), ან ელექტრო-ხელსაწყო 600 ვატზე მეტი ძალოვნობისა, ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ის ხელსაწყოები 10-დან 31 ოქტომბრამდე „ტელასის“ „ენერგოსბის“ განყოფილებაში (ა. წერეთლის ქუჩა № 6) 1 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

5. აღნიშნული წესების შეუსრულებლობა, ან დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 1000 მანეთის ოდენობით დაწესებულებათა და 100 მანეთამდე ბინებში მცხოვრებ აბონენტებისათვის ან იძულებითი სამუშაოს ორ თვემდე.

„ტელასის“ ტრესტის დირექტორი: სერობიანი.

ექიმი ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.

იღება დილ. 8—9 ს. და სად. 6—8 საათ. მისამართი კაროს ქ. № 72. 9.91

მე-7 საშუალო სკოლის პედპერსონალი იზიარებს ამავე სკოლის მასწავლებლის ზაქარია კოპლატაძის მწუხარებას მისი ვაჟის

ვახტანგ კოპლატაძის

გარდაცვალების გამო. 9778

გულდათუთქული მშობლები: ინჟინერი ივანე და თამარი შავიშვილები, ძმა მიშა შავიშვილი იუწყებიან უსაყვარლესი

პატარა გენიკოს

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 10 ოქტომბერს ზედაზნიურის 1-ლი ჩიხი № 3. 9775

უახლოესი მეგობრები: პ. ფილავა, პ. ქაჯაია, ოლ. კიკალიშვილი, აპ. ქუბაბრია, გ. ჯალაღანიძე, გ. ბზიავა, მ. ბოკერია, ა. ... მწუხარებას გამოსთქვამენ

ალექსანდრე კოსტას-ძე გაბისონიას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მარტვილში 10 ოქტომბერს. 9776

გულდამწვარი მშობლები: სუსანა, ზაქარია, დები: თამარ, ეთერი კოპლატაძეები იუწყებიან საყვარელ

ვახტანგ ზაქარიას-ძე კოპლატაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ოქტომბერს ვერის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება კალანდაძის (ყოფ. მატინოვის) ქ. № 12, 5 ს. 9780

დამწუხრებულნი: მეუღლე ოლია, შვილები: რობერტი, ალბერტი, მშობლები: ნადეჟდა, ნიკო, ძმა დავიკო, და ლიდა, გ. ხაფავა იუწყებიან უძვირფასის

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ჩარგეიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 11 ოქტომბერს 5 ს. ლოტკინის შესახვევი № 1. 9779